# შირაქი

**SHIRAKI**

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№8 (9.868)

16 – 23 მარტი 2019 წელი

ფასი: 50 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა


## რა იცვლება ერთიან ეროვნულ გამოცდებზე 2019 წელს?

გვ. 7

## ფეხმძიმე მესანთლე გოგონას ოჯახს დედოფლის-წყაროში საკუთარი ბინა დაუთმეს

გვ.2

## წითელას ეპიდაფეთქების რეკორდი – „ყველა უნდა აიცრას“



გვ. 3

# დედოფლისწყაროს ორი ინფრასტრუქტურული პროექტი დაემატა



გვ. 3

„ქ. დედოფლისწყაროში და სოფელ ხორნაბუჯში ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზებზე გარე განათების მოწყობა-რეაბილიტაცია“ (ღირებულება 188 484,0 ლარი. 2. ქ.დედოფლისწყაროში, ბარათაშვილის ქუჩაზე მინი სპორტული მოედნის რებილიტაცია და საბავშვო მოედნის მოწყობა (ღირებულება – 216 798,0 ლარი). ასევე, მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფისთვის დამატებით გამოიყო 48, 4 ათასი ლარი.

# ნენე კვინიკაძის არაზღაპრული მანიფესტი გაეროში – „იყო ერთი გოგოს“ ამბავი გრძელდება

„ჩვენში ერთმა პოეტმა და მწერალმა შექმნა მე-19 საუკუნის მეორე ნახევარი, ის ვინც საკუთარი ძალები დრამატურგიაშიც და საბანკო საქმეშიც, სამეურნეო წინსვლაშიც და პუბლიცისტიკაშიც მოსინჯა. ილია ჭავჭავაძემ ჩვენი იდენტობა განსაზღვრა.“




გვ. 6

## „დედობა სიამაყე არის და დიდი ტვირთიც“



გვ.5

## კახა შენგელია: ასეთი განათლების ცენტრები არის გადარჩენა“



გვ. 5

## მირზაანში ქართული პარლამენტარიზმის 100 წლის იუბილე აღნიშნა



გვ. 4

C M Y K

# პოლიციამ ხურვალეთისკენ მიმავალი გზა გახსნა

სოფელ ხურვალეთის მიმართულებით პოლიციამ გზა გაუხსნა ჟურნალისტებსა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებს, რომლებსაც რამდენიმე საათის განმავლობაში მოუწიათ ლოდინი.

საოკუპაციო ხაზზე არსებული მდგომარეობის გასაცნობად ჟურნალისტები და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები პოლიციელებს სპეციალურად მათთვის გამოყოფილი ავტომობილებით გადაჰყავთ.

15 მარტს სამართალდამცველებმა გზა მას შემდეგ გადაკეტეს, რაც გავრცელდა ინფორმაცია სოფელში შეიარაღებული რუსი სამხედროების შეჭრის შესახებ.

ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიამ ხურვალეთში არსებულ ვითარებასთან დაკავშირებით ტვიტერზე პოსტი გაავრცელა. "ევროკავშირის მონიტორინგის მისია ამჟამად პატრულირებს დიდ ხურვალეთში.

ახალი სასაზღვრო საქმიანობის ნიშნები არ არის. უსაფრთხოების წარმომადგენლებს არანაირი ინციდენტი არ დაურეგისტრირებიათ. ყველა მექანიზმი, მათ შორის ცხელი ხაზი, გამოიყენება კომუნიკაციის უზრუნველსაყოფად", - წერია EUMM-ის განცხადებაში.

სოფელ ხურვალეთთან, საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე საოკუპაციო რეჟიმის წარმომადგენლების ყოფნა არ დაადასტურა საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა.

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური მოუწოდებს ყველას, თავი შეიკავონ პროვოკაციული განცხადებებისგან. მათი თქმით, საოკუპაციო ძალების მხრიდან განხორციელებული ნებისმიერი აქტივობა ძაბავს ადგილზე არსებულ უსაფრთხოების გარემოს.

„კიდევ ერთხელ ყველას მოვუწოდებ და ვიცი, რომ ამ ინფორმაციას არასწორ კონტექსტში ბევრი ავრცელებს - მე გარკვევით ვთქვი, რომ დღეს ოკუპირებულ ტერიტორიაზე და არა საქართველოს ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე იმყოფებოდნენ ჯარისკაცები. ისინი იქ აღარ იმყოფებიან. ამისათვის ყველაფერი გაკეთდა. მინდა, რომ მოვუწოდო ადამიანებს, თუ ჯგუფებს, რომლებიც ზოგჯერ ასეთ გადაუმოწმებელ ინფორმაციაზე დაყრდნობით თუ მიზანმიმართულად პროვოკაციულ განცხადებას აკეთებენ, რომ ისედაც რთულ მდგომარეობაში, როდესაც ქვეყანა იმყოფება მიმდინარე ოკუპაციის პირობებში, თავი შეიკავონ და მეტი პასუხისმგებლობით მიუდგნენ ასეთ საკითხებს, რადგან ჩვენ რაღაც თემებზე არ ვსაუბრობთ. ეს სახელმწიფოს უსაფრთხოებისა და ჩვენი მოსახლეობის უსაფრთხოების თემებია. ამიტომ როგორც პოლიტიკოსები არიან ვალდებულნი, რომ პასუხისმგებლობა გამოიჩინონ, თავიდან იქნას არიდებული ნებისმიერი პროვოკაცია, ისე ნებისმიერი მოქალაქე და მით უფრო ადამიანები, რომლებიც თვლიან, რომ აქტივისტები და აქტიური მოქალაქეები არიან. იქნებ აღვიჭურვოთ ამ პასუხისმგებლობით და ამ ქვეყანას ვაკმაროთ, რა უბედურებებიც გადაგვხდა თავს. დღეს სამების ეზოდან გესაუბრებით, სადაც გადმოსვენებული არის შეიარაღებული კონფლიქტის 12 მსხვერპლი, რომელიც 26 წელი დაკარგულად ითვლებოდა. აღარ გვინდა ჩვენ დაღუპული ახალგაზრდები, ქალები, მამაკაცები და ბავშვები. აღარ გვინდა, აღარ დავუშვებთ ომს. მინდა ეს ყველამ კარგად გაიგოს", - განაცხადა ქეთევან ციხელაშვილმა.

# ტოკიოში გამოფენა საქართველო ღვინის სამშობლო ოფიციალურად გაიხსნა

იაპონიის დედაქალაქი ტოკიო ქართული ღვინის კულტურისა და ისტორიისადმი მიძღვნილ გამოფენას - „საქართველო — ღვინის სამშობლო" მასპინძლობს. ექსპოზიცია საქართველოს პრემიერ-მინისტრმა მამუკა ბახტაძემ, დღეს ოფიციალურად, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრ ლევან დავითაშვილთან ერთად გახსნა. ამის შესახებ ინფორმაციას პრემიერ-მინისტრის პრესსამსახური ავრცელებს.

მათი ცნობით, გამოფენა, რომლის კონცეფციაც დაფუძნებულია ქართული ღვინის მრავალათასწლოვანი კულტურის წარმოჩენაზე, უნიკალურ არქეოლოგიურ ექსპონატებსა და თანამედროვე ტექნოლოგიებს აერთიანებს. პროექტში იაპონელი პარტნიორების მნიშვნელოვანი კონტრიბუციაა უახლესი ტექნოლოგიის - ჭარპქსუარე-ის გამოყენებით ქართული კულტურისა და ღვინის ისტორიის გაცოცხლება, რაც დამთვალიერებელს ინტერაქციის დახმარებით უძველესი ღვინის სამშობლოში მოგზაურობის საშუალებას აძლევს.

„მთავრობის მეთაურმა, სტუმრებთან ერთად, გამოფენა დაათვალიერა და მის შესახებ დეტალური ინფორმაცია პროექტის ხელმძღვანელ დავით ტყემალაძისგან მიიღო. პროექტი - "საქართველო - ღვინის სამშობლო", გამოფენასთან ერთად, ქართული ღვინის წარმოშობისა და უნიკალურობის შესახებ მსოფლიოში ცნობილი სპეციალისტების სემინარებს, დეგუსტაციას, „ქართული სუფრის" მასტერკლასებსა და კულტურულ პროგრამას მოიცავს.

# ექსპერტი - ირაკლი კვარაცხელიას ცხედარი გაკვეთილი იყო, პირველადი ექსპერტიზა ალბათ, სოხუმში ჩაუტარდა

ირაკლი კვარაცხელიას კისრის არეში აღენიშნებოდა სტრანგულაციური ღარი. ეს დამახასითებელია თოკის, რაიმე მავთულის ან სხვა მსგავსი საგნისთვის, რომელიც კვალს ტოვებს სტრანგულაციური ღარის სახით კისრის მიდამოებზე,- ამის შესახებ ექსპერტმა ირაკლი თოიძემ პრესკონფერენციაზე განაცხადა.

მისივე თქმით, კვარაცხელიას ცხედარს, რომელიც საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიიდან გადმოასვენეს, ექსპერტიზა უკვე ჩატარებული ჰქონდა. ირაკლი თოიძის თქმით, დაზიანებები, რაც კვარაცხელიას სხეულზე აღენიშნებოდა, თვითმკვლელობის შედეგადაა მიყენებული თუ მკვლელობის, ამას საგამოძიებო ორგანოებმა უნდა უპასუხონ.

მისი თქმით, ამაზე წინასწარ, ვარაუდის დონეზე დასკვნებს ვერ გააკეთებს, ვინაიდან ექსპერტიზა მხოლოდ დაზიანებებს აღწერს. მისი განმარტებით, მას შემდეგ, რაც ექსპერტიზა საბოლოო ლაბორატორიულ დასკვნებს მიიღებს, საერთო ანალიზით შესაბამის შედეგს/დასკვნას დადებენ. მისი თქმით, საბოლოო დასკვის გაკეთებას კი ექსპერტიზა ერთი თვის ვადაში შეძლებს.

ექსპერტის განმარტებით, გარდაცვლილის სხეულზე ელექტროშოკის კვალი არ შეუმჩნევია.

„რაც შეეხება დაზიანებებს, გვამი ჩვენთან როცა შემოვიდა, გაკვეთილი იყო. პირველადი ექსპერტიზა ალბათ, სოხუმში იყო ჩატარებული, საიდანაც გადმოასვენეს. ჩვენთან ექსპერტიზა ხელმეორედ ჩაუტარდა. დაზიანებებს რაც შეეხება, სხვა, მცირე ზომის დაზიანება კისრის არეში მარცხნივ სისხლნაჟღენთის სახით, ასევე მარცხენა იდაყვის სახსრის უკანა ზედაპირზე, შუბლთან - რა სახის დაზიანებებია მათი გარკვევა და წარმოშობის მიზეზი ცოტა საეჭვო იყო, იმიტომ, რომ გვამი უკვე ლპობაში იყო. ამიტომ, ამ მიდამოებიდან გვამური მასალა იქნა აღებული და გადაიგზავნა ლაბორატორიაში. ისინი მოგვცემენ პასუხს ეს სიცოცხლისდროინდელია თუ სიკვდილის შემდეგ არის განვითარებული", - განაცხადა ირაკლი თოიძემ.

შეგახსენებთ, რომ 28 წლის ირაკლი კვარაცხელია გალის რაიონში, ნაბაკევის სამხედრო ბაზაზე 12 მარტს გაურკვეველ ვითარებაში გარდაიცვალა.

# ვინ არის მამაკაცი, რომელმაც ფეხმძიმე მესანთლე გოგონას ოჯახს დედოფლისწყაროში საკუთარი ბინა დაუთმო?

ახალგაზრდა წყვილს, რომელიც უკიდურეს გაჭირვებაში ცხოვრობს, ქართველმა ემიგრანტმა სოსო მამარდაშვილმა საკუთარი ბინა დაუთმო. თოქ-შოუ "პროფილში" გასული სიუჟეტის შემდეგ, სადაც ახალგაზრდა წყვილი დახმარებას ითხოვდა, ქართველმა ემიგრანტმა, სოსო მამარდაშვილმა სოციალურ ქსელში დაწერა, რომ მზად არის წყვილს საკუთარი ბინა დაუთმოს.

"მზად ვარ, ამ ადამიანებს დავეხმარო და ბინის ქირის გარეშე იცხოვრონ ახლადგარემონტებულ ბინაში. მე საქართველოში არ დავბრუნდები რამდენიმე წელი. უფალმა დაგლოცოთ და გაგახაროთ! ლამაზი ოჯახი, რომელიც ამდენი წელი არ დაინგრა, აი, ეს არის სიყვარული! მე მზად ვარ, ამ ლამაზ სიყვარულს, ამ ლამაზ ოჯახს დავეხმარო", - წერს მამარდაშვილი სოციალურ ქსელში.

„შირაქმა" გაარკვია, რომ ბინა, რომელსაც ახალგაზრდა წყვილს სოსო მამარდაშვილი სთავაზობს, დედოფლისწყაროში მდებარეობს. "არ ვიცი წავალთ თუ არა დედოფლისწყაროში საცხოვრებლად, ჯერ არ გადაგვიწყვეტია. ჩემი მდგომარეობიდან გამომდინარე, ხშირად მიწევს ექიმებთან კონსულტაცია. ყველა შემთხვევაში, ძალიან მადლიერი ვარ იმ ადამიანის, რომელმაც საკუთარი საცხოვრებელი სახლი შემოგვთავაზა", - განაცხადა ნინო მაისურაძემ.

ცნობისთვის, ახალგაზრდა ცოლ-ქმარი ამჟამად ნაქირავებ ბინაში ცხოვრობს და ქირის გადახდას ვერ ახერხებს. ისინი უსახსრობის გამო, ნესტიან ოთახებში გათბობას ვერ რთავენ და მცირეწლოვან ბავშვთან ერთად, გაუსაძლის სიცივეში არიან. ახალგაზრდა ოჯახი მეორე ბავშვს ელოდება.

"15 წლის ვიყავი, როდესაც ჩემი მომავალი მეუღლე გავიცანი. დედამ სახლიდან გამომაგდო, რადგან გაიგო, რომ მას ვაკოცე. მერიდება, მაგრამ უნდა ვთქვა, რომ დედა ჩემზე ფიზიკურად ძალადობდა. პატარა და მყავს, იმას ნაკლებად სცემდა, რადგან ფილტვების პრობლემა აქვს. დედამ ჩემი დაც გააგდო სახლიდან და ის ახლა მამასთან ცხოვრობს. დედა მეცოდებოდა და მის საქციელს სოციალურ მუშაკებთან ვმალავდი. არ მინდოდა მარტო დარჩენილიყო. ამიტომ, მალევე გავთხოვდი. მინდადა უკეთესი საცხოვრებელი პირობები მქონოდა. თუმცა, ჩემი ოცნება ოცნებად დარჩა. ახლა უფასო სასადილოში ვჭამთ და რუსთაველის მეტროსთან სანთლებს ვყიდი. ცალი ხელით სანთლებს ვყიდი და ცალი ხელით ბავშვი მიჭირავს. რამდენიმე თვეა ქირით ვცხოვრობთ, შეშის ღუმელით ვთბებით. შეშაც ხან გვაქვს და ხან არა. მეორე შვილს ველოდები და ასეთ სიცივეში ალბათ, მეორე ზამთარს ვეღარ გადავიტან. ძირითადად ბავშვის საკვებზე ვნერვიულობ. ჩემი ოცნებაა, საკუთარი ჭერი მქონდეს და არავინ მითხრას ადექი და წადიო", - ამბობს ნინო მაისურაძე.

შეგახსენებთ, "პროფილში" გუშინ გასული სიუჟეტის შემდეგ, ახალგაზრდა წყვილს კეთილმა ადამიანმა საკუთარი საცხოვრებელი დაუთმო.

# სასაკლაო შურისძიების სახელით

ახალი ზელანდიის ქალაქ ქრაისთჩერჩში მდებარე ალ ნურის მეჩეთში პარასკევის ლოცვის დროს შეიარაღებული მამაკაცი შევარდა და მლოცველებს ცეცხლი გაუხსნა. თავდასხმის შედეგად 40 ადამიანი დაიღუპა, კიდევ ათეულობით მლოცველი დაშავდა. თავდასხმის დროს ერთ მეჩეთში 200-მდე, ხოლო მეორეში 300-მდე ადამიანი იმყოფებოდა.

როგორც ადგილობრივი მედია იუწყება, შეიარაღებული პირები ალ-ნურისა და ლინვუდის მეჩეთებში, ადგილობრივი დროით 13:45 საათზე შევიდნენ. შესვლისთანავე მათ კარი ჩაკეტეს და სროლა დაიწყეს.

Daily Mail-ის ინფორმაციით, ერთი თავდამსხმელი იდენტიფიცირებულია - ის 28 წლის ავსტრალიელი ბრენტონ ტარანტი აღმოჩნდა.

მან თავდასხმის ამსახველი ვიდეოკადრები ფაცებოოკ-ის საკუთარი გვერდის მეშვეობით გაავრცელა. ვიდეოკადრებში ჩანს, რომ ტერორისტი მეჩეთთან იარაღით სავსე მანქანით მიდის, რომელშიც პატრიოტული ხასიათის სიმღერებია ჩართული. კადრში ასევე ჩანს, რომ მანქანაში არსებულ დაახლოებით 6 იარაღს, რომელიც მოგვიანებით მან ადამიანების დასახოცად გამოიყენა, თეთრად წარწერები აქვს გაკეთებული.

წარწერებს შორის ქართულ ასოებს მოკრავთ თვალს - მათში საქართველოს უძლეველი მეფისა და მხედართმთავრის დავით აღმაშენებლის სახელიც იკითხება, მის გვერდით კი თამარ მეფის მეუღლისა და მთავარსარდლის დავით სოსლანის სახელი წერია.

იარაღზე ასევე იკითხება რუსი საზღვაო მხედართმთავრის, გენერალ-ადიუტანტ დიმიტრი სენიავინის სახელი. აღსანიშნავია, რომ მან ათონისა და დარდანელის ბრძოლაში თურქებზე გამარჯვება მოიპოვა.

იარაღზე ასევე დატანილია მარკო მილიანოვის - ცნობილი მონტენეგროელი მწერალისა და სარდლის სახელი, რომელიც სერბეთის ეროვნული გაერთიანებისა და ოსმალეთის იმპერიის ბატონობისგან გათავისუფლებისთვის იბრძოდა.კიდევ ერთი ადამიანი, რომლის სახელი იკითხება იარაღზე, ბრიტანელი ადმირალი, ედვარდ კოდრინგტონია, რომელიც 1827 წლის 20 ოქტომბერს საბერძნეთის რევოლუციის დროს ნავა-რინოს ყურეში მიმდინარე საზღვაო ბრძოლაში მონაწილეობდა, რომლის დროსაც ბრიტანულმა, ფრანგულმა და რუსულმა საზღვაო ძალებმა ოსმალეთის იმპერიისა და ეგვიპტის გაერთიანებული ძალები გაანადგურეს. სავარაუდოდ, ეს სახელები ტყვის მჭიდებზე სწორედ იმიტომ მოხვდა, რომ მათ ყველაზე დიდი ბრძოლები გადაიხადეს მაჰმადიანურ სამყაროსთან.

საინტერესოა, რომ თავდამსხმელი ბრენტონ ტარანტმა ეჩეთზე თავდასხმამდე ცოტა ხნით ადრე "ტვიტერის" საკუთარ გვერდზე 87-გვერდიანი მანიფესტი გაავრცელა, სადაც როგორც საკუთარ პიროვნებაზე, ასევე თავდასხმის განხორციელების მოტივზეც ლაპარაკობს და ამბობს, რომ ბევრი თავდამსხმელის ისტორიით არის შთაგონებული - მათ შორის ბრეივიკის მიერ ჩადენილი მასობრივი მკვლელობით (2011 წელს ნორვეგიაში 77 ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა).

კითხვაზე, თუ რატომ აპირებს მასშტაბური თავდასხმის განხორციელებას მეჩეთზე, წერს:

"იმისთვის, რომ შური ვიძიო დამპყრობლებზე, რომლებმაც ევროპის მიწებზე ათასობით ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლეს.

რათა შური ვიძიო მილიონობით ევროპელის დამონებისთვის, რომლებიც მუსლიმ დამპყრობლებს ევროპული მიწებიდან მიჰყავდათ.

იმისთვის, რომ შური ვიძიო იმ ათასობით ევროპული სიცოცხლისთვის, რომელიც მათ ტერო-რისტული აქტების განხორციელებისას შეიწირეს.

იმისთვის, რომ ევროპულ მიწებზე მიგრაციის მაჩვენებელი შევამცირო დაშინებითა და მათი ფიზიკური განადგურებით".

ამავე მიმართვაში ლაპარაკია იმაზეც, რომ შურისძიება კონკრეტულად უკავშირდება 2017 წელს შვედეთის დედაქალაქ სტოკჰოლმში მომხდარ ტერაქტს, რომლის დროსაც დიდი სიჩქარით მოძრავი სატვირთო ავტომანქანა, რომელიც მძღოლმა თავდასხმისთვის გამოიყენა, ჯერ ფეხით მოსიარულეებს შეეჯახა, მერე კი სავაჭრო ცენტრის ვიტრინაში შევარდა.

მანქანის გამტაცებელმა გაიარა ექვსი კვარტალი, გადავიდა სტოკჰოლმის მთავარ ქუჩაზე - დროტნინგეტენზე და ტროტუარზე ხალხის გატანა დაიწყო. შედეგად დაიღუპა 5 ადამიანი, მათ შორის 11 წლის გოგონა, ებბა აკერლუნდი. თავდამსხმელის მტკიცებით, მისი სიცოცხლისთვის შურისძიებაც გახდა ახალ ზელანდიაში მომხდარი სასაკლაოს ერთ-ერთი მიზეზი.

შვედეთის სამართალდამცავებმა მალევე დააკავეს უზბეკეთის მოქალაქე, რახმატ აკილოვი, რომელმაც აღიარა დანაშაული. 2018 წლის 20 თებერვალს, სასამართლოს სხდომაზე აკილოვმა განაცხადა, რომ სატვირთო ავტომანქანით, მკვლელობის მიზნით შეეჯახა ხალხს, რათა თავისი წვლილი შეეტანა "ისლამური სახელმწიფოს" მხარდაჭერაში. მას სამუდამო პატიმრობა მიესაჯა.

# კულტურისა და ძეგლთა დაცვის ცენტრის დირექტორად ილია მარტყოფლიშვილი დაინიშნა



დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის კულტურისა და ძეგლთა დაცვის ცენტრის დირექტორად ჟურნალისტი ილია მარტყოფლიშვილი დაინიშნა. ახალი ხელმძღვანელი თანამშრომლებს მუნიციპალიტეტის მერმა წარუდგინა და წარმატებები უსურვა. ნიკოლოზ ჯანიაშვილის განცხადებით, მარტყოფლიშვილს დიდი გამოცდილება და ბევრი კარგი თვისება აქვს, რის გამოც იმედს გამოთქვამს, რომ ჟურნალისტიკიდან კულტურის სფეროში მისი მუშაობა ეფექტური იქნება.

მარტყოფლიშვილს დამთავრებული აქვს თსუ ტელე-რადიო ჟურნალისტიკის ფაკულტეტი და 16 წლის განმავლობაში სხვადასხვა მედიასაშუალებაში მუშაობდა. დედოფლისწყაროში დამოუკიდებელი, ონლაინ მედიის განვითარება სწორედ მის სახელს უკავშირდება.

ილია მარტყოფლიშვილს, როგორც ავტორს, კარგად იცნობს გაზეთ „შირაქის“ მკითხველი. ის ამ გაზეთის თანამშრომელი 2011 წლიდან გახდა, თუმცა, ჩვენს ფურცლებზე სტატიებს ის მანამდეც აქვეყნებდა. 2013 წლიდან კი, 4 წლის განმავლობაში, ის ყოველკვირეული საავტორო გადაცემის წამყვანი იყო, რომელიც რაიონში მიმდინარე მოვლენებს აქტიურად აშუქებდა. ის „ობიექტივის“ ტელე და რადიო ეთერში უძღვებოდა თოქ-შოუს „დედოფლისწყაროს საათი“, რომელიც დიდი პოპულარობით სარგებლობდა როგორც დედოფლისწყაროელებში, ისე რაიონსა და ქვეყნის ფარგლებს გარეთ გასულ მოქალაქეებში. 2009 წლიდან დღემდე, ილია მარტყოფლიშვილი ინტერნეტგაზეთ „ქიზიყი.ge“-ს რედაქტორის პოსტს იკავებდა. პერიოდულად თანამშრომლობდა სხვადასხვა რეგიონულ და რესპუბლიკურ გაზეთებთან თუ რადიოებთან.

ილია მარტყოფლიშვილმა ამ თანამდებობაზე ნონა ჯიბლაშვილი შეცვალა, რომელიც პოსტს 2014 წლიდან იკავებდა.

# შეხვედრა მხარეთმცოდნეობის მუზეუმში

***დედოფლისწყაროს კულტურისა და ძეგლთა დაცვის ცენტრის ახალმა ხელმძღვანელმა, ჟურნალისტმა ილია მარტყოფლიშვილმა საკუთარ პროფესიაში ტაიმ-აუტი აიღო და მუნიციპალიტეტის მერის, ნიკოლოზ ჯანიაშვილის, გადაწყვეტილებით, ახალ სამსახურს ჩაუდგა სათავეში. პირველ კვირაში ის ქალაქსა და ყველა სოფელში თანამშრომლებთან გაცნობითი ხასიათის შეხვედრებს მართავს. 14 მარტს ილია მარტყოფლიშვილის მორიგი შეხვედრა მხარეთმცოდნეობის მუზეუმში შედგა.***



მხარეთმცოდნეობის მუზეუმი დედოფლისწყაროში 1975 წელს გაიხსნა. მუზეუმში, ძირითადად, დაცულია დედოფლისწყაროს ტერიტორიაზე არქეოლოგიური გათხრების შედეგად (ძვ. წ. VI-I სს-დან გვიან ფეოდალურ ხანამდე) აღმოჩენილი თიხისა და ბრინჯაოს მასალა, ნუმიზმატიკა (VI ს. ვერცხლისა და ოქროს სასანური მონეტები, ქართული, ჰულაგოიდური, რუსული, გერმანული მონეტები), ეთნოგრაფიული მასალები (ქიზიყური ფარდაგები, ხურჯინები, ჯეჯიმები, ფიანდაზი, ოქრომკედით ნაქარგი ყაჯარი, საყოფაცხოვრებო დანიშნულების ნივთები), XX ს-ის ქართველ მხატვართა ფერწერული ნამუშევრები. დღეისათვის აქ 12000 უნიკალური ექსპონატი ინახება. მუზეუმს აქვს ორი საექსპოზიციო დარბაზი, ეთნოგრაფიული და არქეოლოგიური.

მინდა აღვნიშნო, რომ მუზეუმში სტუმრობისას ყოველთვის თბილი გარემო გხვდება, აქაურ თანამშრომლებს აქვთ საოცარი მასპინძლობის ტრადიცია, ამ გარემოს შექმნაში კი მათ, ალბათ, ის უნიკალური სიძველეები ეხმარებათ, რომლებიც ამ დარბაზებში და მის საცავებში ინახება... შეუძლებელია, იცავდე შენი ქვეყნის საუკუნეების წინანდელ ისტორიას, დადიოდე თითოეულ სოფელში, აგროვებდე მასალებს, რომლის მიხედვითაც საუკუნის მერე სხვა ახალი ისტორია უნდა შეიქმნას და შენი შრომის ანაზღაურება სულ ახლოსაც არ იყოს თანამედროვე საშუალო ხელფასის ნიშნულთან. დიახ, რაოდენ გასაოცარიც არ უნდა იყოს, მუზეუმის თითოეული თანამშრომლის ხელფასი ვერ აღემატება 140 ლარს, რომელიც მათ ხელს არ უშლის კეთილსინდისიერებაში, ისევე მოუფრთხილდნენ ჩვენი ქვეყნის საგანძურს, როგორც ამას მათთვის საოცნებო ანაზღაურების პირობებში გააკეთებდნენ, აღარაფერს ვამბობ ექსპონატების დაცვის იმ არასათანადო პირობებზე, რის წინაშეც დღეს მუზეუმი დგას.

როგორც კულტურის ცენტრის ახალმა დირექტორმა განმარტა, მისი პროფესიიდან გამომდინარე, მისთვის ამ სფეროში არსებული პრობლემები მანამდეც კარგად იყო ცნობილი.

– „ყველა კარგად ვიცნობთ ერთმანეთს, ახლა მთავარი ურთიერთგაგება და პრობლემების მოგვარებაა. მიხარია, რომ შეგიძენიათ ინვენტარი და შეშის ღუმელის ბოლიც აღარ გაწუხებთ, თუმცა, ვიცი, რომ სხვა უამრავი პრობლემა გაქვთ. ვინაიდან, ჟურნალისტიკიდან მოვდივარ, პირველ რიგში, თქვენი საწუხარი მაინტერესებს, შემდეგ გავეცნოთ სამომავლო გეგმებს და ერთად შევადგინოთ მთავარი გასაკეთებელი საქმეების ნუსხა. დროულად უნდა მოხდეს ძველი ნივთების ჩამოწერა და ინვენტარიზაცია, რაც აღდგენას ექვემდებარება აღვადგინოთ, გამოუსადეგარი ნივთები კი განადგურდეს. უახლოეს დღეებში სპეციალური კომისიის ფორმირება უნდა დასრულდეს“. – განაცხადა ილია მარტყოფლიშვილმა.

– „მართლაც დიდი იმედით შევხვდით ამ თანამდებობაზე თქვენს მოსვლას. პირველ რიგში თანამშრომელთა ხელფასების პრობლემა გვაქვს დასაძლევი, რომელიც წინა წლებში შემცირდა. შემდეგ ექსპონატების დაცვის პირობებია შესაქმნელი. გვაქვს ნაგავსაყრელის პრობლემა, აუცილებელია ტერიტორიის დროულად შემოღობვა, რათა გავაცოცხლოთ „ღია ეთნოგრაფია“ ჩვენი ძალებით. გვინდა, საინტერესო და ახალი დატვირთვა შევძინოთ ამ ეზოს, რომ უფრო მიმზიდველი გავხდეთ დამთვალიერებლებისთვის. სამომავლოდ, კუთხური ტრადიციები გვინდა გავაცოცხლოთ. არ გვაქვს საკუთარი ინტერნეტი, რის გამოც ჰამლეტ გონაშვილის სახელობის სკოლის სიხშირეს ვიყენებთ, ეს კი ხშირად ჩვენთვის მიუწვდომელია. ასევე, არ გვაქვს ტრანსპორტის საშუალება სოფლებში გასასვლელად, ენერგოდისტრიბუციის ჯგუფებს დავყვებით, როცა სოფლების ისტორიის შესწავლა გვინდა. სამაგიეროდ, გვაქვს თქვენი დიდი იმედი... მართლაც, ჩამოსაწერი გვაქვს უამრავი ნივთი საცავებიდან, ამისთვის კი ალბათ ექსპერტის მოწვევა არის აუცილებელი, რომ მისი შემოწმების და ნებართვის ფარგლებში მოხდეს ჩამოწერა. (ძველი ტანსაცმელი, ფარდაგები და ა.შ.)“ – ამბობს მუზეუმის დირექტორი ლალი გურასპაული.

მას გამოეხმაურნენ მუზეუმის სხვა თანამშრომლები, ყველამ თავისი აზრი გამოთქვა და თავის მხრივ მხარდაჭერა გამოხატა ცენტრის ახალი ხელმძღვანელის მიმართ.

ელზა ხარაშვილი

# დედოფლისწყაროს ორი ინფრასტრუქტურული პროექტი დაემატა

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის, ნუგზარ პაპიაშვილის ხელმძღვანელობით საკრებულოს მორიგი სხდომა გაიმართა. სხდომას დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ ჯანიაშვილი მერიის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებთან ერთად დაესწრო.

„საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის განკარგულების თანახმად, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტს დაემატა კიდევ ორი პროექტი: 1. „ქ. დედოფლისწყაროში და სოფელ ხორნაბუჯში ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზებზე გარე განათების მოწყობა-რეაბილიტაცია“ (ღირებულება 188 484,0 ლარი. 2. ქ.დედოფლისწყაროში, ბარათაშვილის ქუჩაზე მინი სპორტული მოედნის რებილიტაცია და საბავშვო მოედნის მოწყობა (ღირებულება – 216 798,0 ლარი). ასევე, მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფისთვის დამატებით გამოიყო 48, 4 ათასი ლარი. სხდომაზე „დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ საკრებულოს 2018 წლის 20 დეკემბრის დადგენილებაში შევიდა ცვლილება და აღნიშნული თანხები დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში აისახა.

საკრებულომ ასევე კენჭი უყარა განკარგულების პროექტს „დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული იჯარით გასაცემი ობიექტების ქირის საწყისი საფასურის ოდენობის განსაზღვრისა და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერისთვის ქირის საფასურის განსაზღვრაზე თანხმობის მიცემის შესახებ“.




სხდომაზე საკრებულოს წევრებმა მოისმინეს და დამაკმაყოფილებლად შეაფასეს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის თორმეტი თვის შესრულების ანგარიში.

# წითელას ეპიდაფეთქების რეკორდი – „ყველა უნდა აიცრას“

დედოფლისწყაროში წითელას ახალი შემთხვევები დაფიქსირდა. საზოგადოებრივი ჯანდაცვის ხელმძღვანელის მარიეტა გონაშვილის ინფორმაციით, ***15 მარტის მონაცემებით, 8 ახალი შემთხვევაა რეგისტრირებული. იანვრიდან – დღემდე კი სულ 33 ადამიანი დაინფიცირდა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში წითელას ვირუსით. მისი თქმით, წითელას ეპიდემია გავრცელებას განაგრძობს და ამიტომ, ყველა უნდა აიცრას.***

„ქვეყანაში წითელას ვირუსის საფრთხე ბოლო წლების განმავლობაში მუდმივად დგას, უბრალოდ, წელს, ყველა რეკორდი მოიხსნა, თორემ, შემთხვევათა მნიშვნელოვანი რაოდენობა, გასულ წლებშიც იყო და ეს კვლავ გაგრძელდება. ამიტომაც, ქვეყანაში, არავითარ შემთხვევაში, არ უნდა დარჩეს არავინ, ვისაც აცრა ჩატარებული არ ექნება; თუ ადამიანს ზუსტად არ ახსოვს, ვაქცინირებულია თუ არა, განმეორებითი აცრა საჭიროა. აცრა საფრთხისშემცველი არაა.“

ახალი წლის დადგომასთან ერთად, ჩვენს ქვეყანაში, წითელას ეპიდემიამაც იფეთქა. მარტის თვის მონაცემებით, დაინფიცირების 374 შემთხვევა დადგინდა. როგორც მედიკოსები აღნიშნავენ, „წითელას ვირუსს გრიპივით, მკაცრი სეზონურობა არ ახასიათებს და ინფექციის აღმავლობის ან პირიქით, შესუსტების პროგნოზი შეუძლებელია, თუმცა, როგორც უკვე აღვნიშნე, წითელას გავრცელების საფრთხე, ჩვენს ქვეყანაში, ბოლო წლების განმავლობაში დღის წესრიგში მუდმივად დგას. ***ვაქცინაცია, განსაკუთრებით კი წითელას საწინააღმდეგო, ძალიან ბევრმა ადამიანმა ჩაიტარა, თუმცა, საკმარისი მაინც არ არის, რადგანაც ჯერ კიდევ ძალიან ბევრი ადამიანი აუცრელი რჩება. აცრები არავითარი საფრთხის მომტანი არ არის; უბრალოდ, ადამიანებმა ეს დასკვნა იქიდან გამომდინარე გააკეთეს, რომ ზოგიერთი მათგანი, წითელათი დაავადებულთან კონტაქტში შესვლის შემდეგ აიცრა და ვაქცინა, თავის მხრივ, დაავადების პრევენციას ველარ ასწრებდა.*** ანტისხეულების გამომუშავებას, ორი კვირა მაინც სჭირდება, დაინფიცირებულთან კონტაქტის გამო, დაწყებული წითელას ვირუსის გამომწვევად კი, ისინი აცრას მიიჩნევდნენ. ორივე, განსაკუთრებით კი, გრიპის ვაქცინა, აბსოლუტურად უსაფრთხოა. წითელას აცრა, მართალია, ცოცხალი ვაქცინაა, მაგრამ მის მიერ გამოწვეული გვერდითი მოვლენები იმდენად უმნიშვნელოა, რომ აცრასა და წი-



თელას ვირუსს შორის არჩევანის გაკეთებისას, არავითარი ყოყმანი არ ღირს. გვერდითი მოვლენები აცრიდან, პირველი კვირის განმავლობაში, ძალიან იშვიათად, შეიძლება გამოვლინდეს -ძალიან სუსტად გამოხატული გამონაყარი, რომელიც ჯანმრთელობისთვის არანაირ საფრთხეს არ წარმოადგენს, რომელიც ალერგიულ რეაქციაში არ უნდა აგვერიოს, უბრალოდ,შეიძლება ზოგჯერ ძალიან დასუსტებულმა ვირუსმა ეს გამოიწვიოს.

პირველ რიგში, სახელმწიფო, მოსახლეობასთან აქტიური კომუნიკაციის რეჟიმზე გადავიდა. დაავადებათა კონტროლის ცენტრის მიერ მნიშვნელოვანი შეტყობინებები ვრცელდებოდა და უფასო გახდა ვაქცინაცია, რაც სერიოზული ხელისშეწყობა იყო იმ ადამიანებისთვის, რომლებისთვისაც გადასახადი, სოციალური ფონის გამო, ერთგვარ ბარიერს წარმოადგენდა. წითელას შემთხვევაში, იმუნიტეტის არმქონე ადამიანისთვის გადაცემის შანსი, პრაქტიკულად, თითქმის 100 პროცენტს უახლოვდება. ამიტომ, ძირითადი რეკომენდაცია არის ვაქცინაცია. და ბოლოს, ცხოვრების ჯანსაღი წესი, ნებისმიერი ინფექციური დაავადებისგან, გარკვეული დოზით გვიცავს. ამიტომაც ვეცადოთ, რომ სწორად ვიკვებოთ, ხშირად ვისეირნოთ სუფთა ჰაერზე და ჩვენს ყოველდღიურობაში ფიზიკური აქტივობაც ჩავრთოთ.

ინგა შიოლაშვილი

# ასი წლის წინ, დღევანდელ დღეს გაიხსნა პირველი დამფუძნებელი კრება, რომლითაც დაიწყო პარლამენტარიზმის ისტორია ჩვენს ქვეყანაში

„მინდა თითოეულ ქართველს მივულოცო დღევანდელი დღე, დღე, რომელმაც განაპირობა ჩვენი სახელმწიფოს დემოკრატიულ სახელმწიფოდ ჩამოყალიბება“, – ამის შესახებ პრემიერ-მინისტრმა მამუკა ბახტაძემ მთავრობის სხდომის დაწყებამდე გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა.

„ასი წლის წინ, დღევანდელ დღეს გაიხსნა პირველი დამფუძნებელი კრება, რომლითაც დაიწყო პარლამენტარიზმის ისტორია ჩვენს ქვეყანაში. ის, რომ ჯერ კიდევ 100 წლის წინ, საქართველო ერთ-ერთი პირველი იყო იმ ეპოქაში, რომელსაც დემოკრატიულად არჩეული პარლამენტი ჰყავდა, ადასტურებს ჩვენს მისწრაფებებს, ჩვენს ფასეულობებს და ჩვენს ცივილიზაციურ არჩევანს, რომლის მიხედვით საქართველო აუცილებლად გახდება ევროპის სრულუფლებიანი წევრი. ჩვენ და ჩვენს თაობას დღეს აქვს ის ვალდებულება, რომ ვიყოთ იმავე ღირებულებების და ტრადიცების ერთგულები, რითაც შეიქმნა 100 წლის წინ და რომელიც გახდა მართლაც ისტორიული ეტაპი ჩვენი ქვეყნის განვითარების“, - განაცხადა ბახტაძემ.



## ქართული პარლამენტარიზმის 100 წელი

საუკუნის წინ, 1919 წლის 12 მარტს, 12 საათსა და 10 წუთზე, თბილისში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პარლამენტის/დამფუძნებელი კრების პირველი სხდომა გაიხსნა. ეს იყო პირველი დემოკრატიულად არჩეული საკანონმდებლო ორგანო, რომელიც მოსახლეობამ 1 თვით ადრე საყოველთაო, ფარული კენჭისყრით აირჩია.

დამფუძნებელი კრების პირველი სხდომა საკანონმდებლო ორგანოს უხუცესმა წევრმა, სილიბისტრო ჯიბლაძემ გახსნა.

„ამ დღესაც მოვესწარი! ჩემს გრძელ ცხოვრების მიწურულში ბევრი ბედნიერი დღე გამთენებია, მაგრამ ეს ყველაზე უნეტარესია“, — ასე დაიწყო მან მისასალმებელი სიტყვა.

ამ დღეს კრებამ 1918 წლის 26 მაისს მიღებული საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი ხელახლა დაამტკიცა. აირჩიეს საკანონმდებლო ორგანოს თავმჯდომარეც — სოციალ-დემოკრატი კარლო ჩხეიძე.

130 დეპუტატისაგან შემდგარ დამფუძნებელ კრებაში უმრავლესობა საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიას ჰქონდა. ჯამში, საკანონმდებლო ორგანოს შემადგენლობა პარტიების მიხედვით ასეთი იყო:

საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია — 102 მანდატი

საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა პარტია — 9 მანდატი

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია — 8 მანდატი

საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია — 6 მანდატი

პარტია „დაშნაკცუთიუნ“ — 3 მანდატი

საქართველოს ეროვნული პარტია — 2 მანდატი

საქართველოს პირველ საკანონმდებლო ორგანოში, სხვა დეპუტატებთან ერთად, 5 ქალი მოხვდა: ქრისტინე შარაშიძე, ანნა სოლოღაშვილი, ლიზა ნაკაშიძე-ბოლქვაძე, მინადორა ტოროშელიძე და ელეონორა ტერ-ფარსეგოვა მახვილაძე. ხუთივე მათგანი სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი იყო.

საკანონმდებლო ორგანოს სტრუქტურა პრეზიდიუმის, ფრაქციებისა და კომისიებისაგან შედგებოდა. „საბჭოთა წარსულის კვლევის ლაბორატორიის“ თანახმად, თავისი არსებობის მანძილზე დამფუძნებელმა კრებამ სულ 97 სხდომა გამართა, განსახილველად კი 415 საკანონმდებლო აქტი შევიდა, საიდანაც 278 მიიღეს.

დამფუძნებელი კრების უმნიშვნელოვანეს გადაწყვეტილებათა შორის პირველია საქართველოს კონსტიტუციის მიღება 1921 წლის 21 თებერვალს — მაშინ, როცა საბჭოთა არმია თბილისის მისადგომებს უტევდა.

1921 წლის 24 თებერვალს, წითელი არმიის გააქტიურებისა და სარეზერვო ძალების სიმცირის ფონზე, საქართველოს არმიის მთავარსარდალმა თბილისის დატოვების ბრძანება გასცა. დამფუძნებელმა კრებამ დედაქალაქი სხვა უწყებებთან ერთად დატოვა.

კრების უკანასკნელი სხდომა 16 მარტს ქალაქ ბათუმში გაიმართა.

„კრებამ მთავრობას საზღვარგარეთ გამგზავრება, ხაზინისა და სამუზეუმო ძვირფასეულობის ევაკუაცია და დამოუკიდებლობის აღდგენისათვის ბრძოლა დაავალა. შეიქმნა მთავრობისა და დამფუძნებელი კრების გაფართოებული პრეზიდიუმი, როგორც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენლობა საზღვარგარეთ. მმართველმა სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ ოპოზიციურ პარტიებს კოალიციური მთავრობის ჩამოყალიბება შესთავაზა, თუმცა მათ წინადადებას უარით უპასუხეს“, — ვკითხულობთ SOVLAB-ის მასალაში.

1921 წლის 24 მარტს გამოცემული დეკრეტით, საბჭოთა საოკუპაციო ხელისუფლების ფორმალურმა წარმომადგენლობამ დამფუძნებელი კრება დაშლილად გამოაცხადა.

# სოფელ მირზაანში, ყველა მოწვევის ქალმა პარლამენტარმა ქართული პარლამენტარიზმის 100 წლის იუბილე აღნიშნა

***ქართული პარლამენტარიზმის 100 წლის საიუბილეო ღონისძიების ფარგლებში, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ მირზაანში, ნიკო ფიროსმანის სახელ-მუზეუმში, ყველა მოწვევის ქალ პარლამენტართა შეხვედრა გაიმართა. შეხვედრაზე პოლიტიკოსმა ქალებმა ქართული პარლამენტარიზმის საუკუნოვანი პერიოდი მიმოიხილეს და ქართული პოლიტიკის განხორციელების პროცესში ქალთა როლსა და ჩართულობაზე ისაუბრეს.***

ღონისძიების მონაწილეებს პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის თავმჯდომარე, მარიამ ჯაში მიესალმა, რომელმაც დედოფლისწყაროში სტუმრობისას ამ შეხვედრის მნიშვნელობაზე ისაუბრა.

„პარლამენტარიზმის 100 წლისთავთან დაკავშირებით ქვეყნის მასშტაბით როგორც საგანმანათლებლო, ასევე კულტურულ დაწესებულებებში, სხვადასხვა ტიპის ღონისძიებები იმართება. ამ მიზნით, დღეს ჩვენ ვსტუმრობთ მირზაანს, ნიკო ფიროსმანის სახელობის მუზეუმს, ყველა მოწვევის ქალი პარლამენტარების შეხვედრა იმართება. სასიხარულოა, რომ ჩვენს კოლეგებთან შეხვედრის შესაძლებლობა გვაქვს, სადაც, ძირითადად, ბოლო საუკუნის მანძილზე ქალთა პოლიტიკური ჩართულობის ისტორიას მიმოვიხილავთ და ასევე ვისაუბრებთ იმ უნიკალურ ტრადიციაზე, რომელიც ქართული პარლამენტარიზმის ქალთა მონაწილეობას ეფუძნება. ბუნებრივია, რჩება გამოწვევები, რომ ჩვენ მაქსიმალურად უნდა გავზარდოთ ქალი პოლიტიკოსების მონაწილეობა და წარმომადგენლობა საკანონმდებლო ორგანოში. დარწმუნებული ვარ ეს მიზნები ეტაპობრივად მიღწეული იქნება“, – განაცხადა მარიამ ჯაშმა.





საიუბილეო ღონისძიებაზე სხვადასხვა მოწვევის ქალი პარლამენტის წევრები გამოვიდნენ, რომლებმაც 100 წლის წინ შექმნილი პირველი დამფუძნებელი კრების - პარლამენტის საქმიანობაში ქალ პარლამენტართა მოღვაწეობის მნიშვნელობას გაუსვეს ხაზი.

„ძალიან დიდი პასუხისმგებლობაა გააცნობიერო, ის რომ საქართველოში პარლამენტარიზმის ისტორია უკვე 100 წელს ითვლის. განსაკუთრებით მნიშვნელოვნად მიმაჩნია ეს ღონისძიება იმიტომ, რომ 1919 წელს საქართველოს პარლამენტში მრავლად იყო წარმოდგენილი ქართველი ქალბატონები, რომლებიც საქართველოს დამოუკიდებლობისათვის, მისი კეთილდღეობისათვის იბრძოდნენ“, – აღნიშნა მე-8 მოწვევის პარლამენტის წევრმა, ელისო ჩაფიძემ.

სოფელ მირზაანში, ქალ პარლამენტართა შეხვედრის ერთ-ერთი ორგანიზატორი 1995-2003 წლების მოწვევის პარლამენტის წევრი, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენელი დალი აბაშიძე გახლდათ.

„გამორჩეულია საქართველო იმ კუთხითაც, რომ, როდესაც მსოფლიოში არანაირი უფლებები არ ჰქონდათ ქალებს, ჩვენ 5 პარლამენტარი გვყავდა და როდესაც ქალი არის პოლიტიკაში, იქ სრულიად განსხვავებული გარემო იქმნება, იმიტომ რომ ქალი არის დედა, ოჯახის დიასახლისი და პოლიტიკას კარგი დიასახლისი სჭირდება. ვფიქრობ, რომ კიდევ ბევრი შრომა მოგვიწევს, რომ ქალმა დაიმკვიდროს თავისი ადგილი საზოგადოებაში, პოლიტიკაში და ეს სრულიად წინ წასწევს საქართველოს და ბევრ სასიკეთო საქმეს მოუტანს ჩვენს ქვეყანას“, – განაცხადა დალი აბაშიძემ.

# დედობა სიამეც არის და მძიმე ტვირთიც



**„არიან ადამიანები, რომელთა გულშიც მთელი მსოფლიო ეტევა...“** – თქვა თავის ერთ-ერთ ეპისტოლეში ჩვენმა **პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ,** სწორედ ასეთი ადამიანია ქალბატონი, რომლის შესახებაც მინდა, ქვემოთ გესაუბროთ.

1947 წლის 15 მარტს, ვანო ლეკაშვილის და ეთერ გავაშელიძის ოჯახში პირველი შვილი დაიბადა. ციცინო დაარქვეს. მერე ძმაც შეეძინა – ავთანდილი. ცხოვრების ჭაპანს ერთგულად ეწეოდნენ მეუღლეები, სახლი აიშენეს და კერას სითბო და სიყვარული არ აკლდა, მაგრამ... ოჯახის უფროსს მძიმე სენი შეეყარა და სრულიად ახალგაზრდამ დატოვა ეს ქვეყანა, დატოვა და თან წაიღო სევდა და ფიქრი იმაზე, თუ როგორ გაართმევდა თავს ცალუღლად დაერჩენილი მისი მეუღლე ცხოვრების გასაჭირს, როგორ დაზრდიდა ობოლ ბავშვებს. ტანმორჩილი, სიფრიფანა ქალი იყო ეთერი, მაგრამ შემართება ვაჟკაცური ჰქონდა, თავს არ ზოგავდა და ამაგიც დაუფასდა. მშრომელი და წარმატებული შვილები დაზარდა, დააოჯახა, შვილიშვილებსა და შვილთაშვილსაც მოესწრო და ვალმოხდილი წავიდა ამ ქვეყნიდან.

ციცინომ სამედიცინო ტექნიკუმი დაამთავრა და ათეული წლები საავადმყოფოში ფიზიოთერაპიულ კაბინეტში მუშაობდა. თავისი საქმის პროფესიონალი, კომუნიკაბელური, თბილი და ყურადღებიანი ქალიშვილი უყვარდათ კოლეგებსაც და პაციენტებსაც. ამასობაში დადგა ოჯახის შექმნის დროც... ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო-საინჟინრო ფაკულტეტის კურსდამთავრებული, ქუთაისელი ახალგაზრდა მიხეილ ტყაბლაძე დედოფლისწყაროში (მაშინდელ წითელწყაროში) მოხვდა სამუშაოდ. აქ გაიცნო ციცინო, მოეწონა და ერთი ლამაზი ქართული ოჯახიც შეიქმნა. მუდმივ საცხოვრებლადაც აქ დამკვიდრდნენ. ჯერ გიორგი მოევლინა ქვეყანას, შემდეგ – ქეთევანი, ბოლოს კი, მამის მოსახელე მიხეილი დაიბადა. გაიზარდა და გაძლიერდა ოჯახი. იზრდებოდნენ ბავშვები და ოცნებებიც ფრთებს შლიდა. მაგრამ... ცხოვრება აირია, ქვეყანა მოიცვა უმუშევრობამ, უშუქობამ, უგაზობამ, გართულდა ცხოვრების პირობები. არა მარტო შეჩერდა ქვეყნის განვითარება, არამედ დაინგრა და დაიშალა აშენებულიც, განვითარებულიც, ჩამოყალიბებულიც. იმ გაჭირვების წლებში მაინც შეძლეს და ბიჭებმა მამასავით სამშენებლო-საინჟინრო ფაკულტეტი დაამთავრეს, ქეთიმ – უცხო ენები. არავითარი პერსპექტივა არ ჩანდა წინ. უმუშევრობამ, ქაოსმა და გაჭირვებამ მოიცვა ქვეყანა. და ისე, როგორც ბევრმა ნიჭიერმა ქართველმა ახალგაზრდამ, გოგამ და ქეთიმაც დატოვეს მშობლიური ქვეყანა და თან გაიყოლეს დიდი ტკივილი და მონატრება. მერე მიშიკოც, აქ რომ ვერ დაიმკვიდრა თავი, უფროს ძმასთან წავიდა. ასე დაცარიელდა ოჯახი ახალგაზრდებისაგან. ოკეანის გაღმა მაყურებელი დედის თვალი და გული დაიღალა, დღე და ღამ შვილებისათვის ლოცულობდა, უფალს შემწეობას სთხოვდა. ასე გადიოდა წლები. შვილებმა ოჯახის შექმნა ბოლოდან დაიწყეს. პირველი მიშიკომ, ნესტან ხაჩიაშვილთან ერთად, შექმნა ქართული ოჯახი და სახლი პატარა ლილემ გამოაცოცხლა.

იზრდებოდა ლილე დედოფლისწყაროში, ბებია-ბაბუისგან განებივრებული და წლები წლებს მისდევდა. მერე გოგამ ეკა ოზაშვილთან ერთად იქორწინა, ორი ქალიშვილი ნუცა და ანა მოევლინა ქვეყანას. სულ მალე კი მესამე დაიკოს ელოდებიან.

სამიოდე წლის წინ ქეთიმაც იპოვა სიყვარული – ჯეიმსი ამერიკელია, მაგრამ კანადაში ცხოვრობს. ის პროფესიით პროგრამისტია. ძალიან მოსწონს საქართველო და აღტაცებულია ჩვენი ქვეყნის კულტურითა და ბუნებით. თითქმის წლისთავზე ამ ახალ ოჯახს მესამე წევრი შეემატა. ახლა ნიკოლასი წლისა და ორი თვისაა და უკვე ისე მყარად დააბიჯებს, გულს ეამება. მაგრამ ეს ყველაფერი ოკეანესგაღმა ხდება რადგან, ბოლოს ყველამ – შვილებმა, შვილიშვილებმა, რძლებმა და სიძემ კანადაში, ქალაქ ტორონტოში მოიყარეს თავი. მხოლოდ მიშიკოა დროებით შვედეთში.

ციცინო ლეკაშვილზე, რომელსაც შინაურობაში ყველა ციცოს ვეძახით, წერილის დაწერის სურვილი ორი წლის წინ, მისი დაბადების 70 წლისთავზე გამიჩნდა, მაშინ, როდესაც შვილებმა ამაგდარსა და მათზე ფიქრში დაღლილ დედას დიდი იუბილე გადაუხადეს. ოჯახის წევრებთან ერთად აქ თავი მოიყარეს ნათესავებმა, მეგობრებმა, მეზობლებმა და ნათელმირონით დაკავშირებულმა ოჯახებმა, რომელთა რიცხვიც ორ ათეულს სცილდება და, დამერწმუნებით, სარეკორდოა. ამ დღეს გაიცნო ოჯახმა ოკეანესგაღმელი სიძე ჯეიმსი, რომელმაც თავისი ინტელექტით და ელეგანტურობით უაღრესად დადებითი შთაბეჭდილება დატოვა. საღამო იყო ძალიან ემოციური. ნოსტალგიისგან დაღლილი ტყაბლაძეები ვერ ძღებოდნენ იმ ადამიანების სიყვარულითა და ალერსით, რომლებიც წლების განმავლობაში არ ენახათ. აქ თავმოყრილი საზოგადოება ერთ სურვილად შეიკრა – გამოემჟღავნებინა თავისი გრძნობა შეუზღუდავად, სიყვარული და ბედნიერება მიენიჭებინათ ერთმანეთისათვის. სწორედ ამიტომ, ის დღე თითოეულ იქ მყოფს სამუდამოდ დაამახსოვრდა. ბედნიერ იუბილარს ყველასთვის ჰყოფნიდა სითბო და სიყვარული. დამთავრდა ზეიმი და ყველა თავის ადგილს დაუბრუნდა: ტყაბლაძეები – კანადას, სხვები – საკუთარ სახლებს, მაგრამ ყველას თან გაჰყვა საგზლად განცდა ამ დღეს მიღებული დიდი სიამოვნებისა.

ლილეს გული აღარ გაუჩერდა დედოფლისწყაროში, დატოვა გამზრდელი ბებია-ბაბუა და კანადაში წავიდა დედასთან. მას მერე ორი წელი გავიდა, ისევ მოლოდინის და მონატრების ორი წელი. თითქოს მშვიდად და კანონზომიერად მიდიოდა ცხოვრება, მაგრამ... ოჯახის უფროსს მოულოდნელად ჯანმრთელობის პრობლემა შეექმნა. ორ დღეში თბილისში ჩამოფრინდა გიორგი, მას ლილე და მიშიკო მოჰყვნენ. მიუხედავად იმისა, არც მანამდე აკლდა პატრონობა და მზრუნველობა, შვილების ჩამოსვლამ მაინც მეტი დადებითი ემოცია და იმედი გაუჩინა ავადმყოფს. ისინი მხარში ამოუდგნენ ციცოს მორალურად, ეკონომიურად, ფიზიკურად და ყველაფერი მშვიდობით დამთავრდა. ექიმების მცდელობამ, საუკეთესო მკურნალობამ და ყურადღებამ თავისი შედეგი გამოიღო – მიხეილი იმაზე მალე გამოჯანმრთელდა, ვიდრე მოელოდნენ. წამალზე მეტად შვილების და შვილიშვილის მზრუნველობამ იმოქმედა მის გამოჯანმრთელებაზე. თურმე სიშორე არ არსებობს, როცა სიყვარულის და პასუხისმგებლობის გრძნობა აქვთ შენს ახლობლებს. ამ ყველაფერში კი დედის – ციცო ლეკაშვილის დიდი წვლილია, რომელიც სულ მუდამ სიყვარულსა და ურთიერთთანადგომას ასწავლიდა შვილებს და არა მარტო ასწავლიდა, არამედ საკუთარი მაგალითით აჩვენებდა, რომ სიკეთეს სიკეთე მოსდევს და რომ ბოროტება ავნებს ადამიანის სულს, რომელიც ადამიანის ხორცზე უპირატესია. სულიერება და ღვთისმოსაობა კი ციცოს ცხოვრების წესია, აქტიურ მრევლად ითვლება და დადებითი მაგალითის მიმცემია გარშემომყოფთათვის. ის ერთგული მეუღლე, თავდადებული დედა, ყურადღებიანი ნათესავი, საიმედო მეგობარი და მეზობელია. ამიტომ გვიყვარს ის ყველას გულწრფელად. ჰოდა, ამ გულწრფელობითა და სიყვარულით ვულოცავთ მას დაბადების დღეს. ვუსურვებთ ჯანმრთელობას, სიხარულს და ბედნიერებას თავის დიდ ოჯახთან ერთად. უფლის წყალობა არ მოაკლეს და მოიმკოს ის სიყვარული და სითბო, რომელსაც ის გასცემს მთელი ცხოვრების მანძილზე.

*პატივისცემით და სიყვარულით,*
ნაირა გორაშვილი

# კახა შენგელია: — „ასეთი განათლების ცენტრები არის გადარჩენა“

სასწავლო ცენტრი „სპექტრი“ 8 წლის წინ დაარსდა დედოფლისწყაროში, მის დამაარსებელს, ქალბატონ ნუნუ ცაკაშვილს დედოფლისწყაროს საზოგადოება კარგად იცნობს გამორჩეული ენთუზიაზმით, მოქალაქეობრივი აქტიურობითა და თავისი საქმის პროფესიონალიზმით. ცენტრში არამხოლოდ მეცადინეობები მიმდინარეობს უცხო ენებში, კომპიუტერსა და ზოგად უნარებში, არამედ სასკოლო სასწავლო საგნებშიც ხდება გაძლიერება მოთხოვნის შესაბამისად. აგრეთვე, პერიოდულად მიჰყავს ქალბატონ ნუნუს ბავშვები დედაქალაქში ღია კარის დღეებზე დასასწრებად კავკასიის უნივერსიტეტში და სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში, რათა მომავალი პროფესიის არჩევისას სწორი გადაწყვეტილება მიიღონ მათ, იგი მაქსიმალურად ცდილობს, ყველანაირი პირობა შეუქმნას ბავშვებს და გაუმარტივოს სირთულეები.

13 მარტს კავკასიის უნივერსიტეტის პრეზიდენტი კახა შენგელია დედოფლისწყაროს სასწავლო ცენტრს უნივერსიტეტის სამ დეკანთან და ლექტორებთან ერთად სტუმრად მეორედ ეწვია. იგი ნიუ-იორკიდან ჩამოფრინდა ამ დღეს და აეროპორტიდან პირდაპირ დედოფლისწყაროსკენ გამოეშურა, სადაც წარჩინებული, მედლის კანდიდატი უფროსკლასელების და აბიტურიენტების მთელი ჯგუფი დახვდა. „უკვე წლებია, მე და ჩემი გუნდი ვაკეთებთ ყველაფერს იმისთვის, რომ კავკასიის უნივერსიტეტს ჰქონდეს მაღალი ნდობა და რეპუტაცია, იყოს საუკეთესო არამხოლოდ საქართველოში, არამედ მთელს რეგიონში. ჩვენს მიერ წლების მანძილზე დამყარებულ საერთაშორისო კავშირებს მხოლოდ ერთი მიზანი აქვს - ღრუბელივით შეგვესრუტა კარგი და უარი გვეთქვა ძველსა და დრომოჭმულზე. ამიტომაც, კავკასიის უნივერსიტეტის პროგრამები მსოფლიო დონის პროგრამების ნუსხაში ხვდება. სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა გამოიყენონ CU-ს სტუდენტის სტატუსი და უცხოეთში ისწავლონ. ჩვენ დედოფლისწყაროს სასწავლო ცენტრთან წლებია, განსაკუთრებული ურთიერთობები გვაქვს, ვინაიდან ქალბატონი ნუნუ არის წარმატებული შვილების დედა და მის ერთ-ერთ ვაჟს სწორედ კავკასიის უნივერსიტეტი აქვს დამთავრებული. მიმაჩნია, რომ მან, როგორც დედამ და ამავე დროს პროფესიონალმა, კარგად იცის განათლების ცენტრის ფასი, მით უფრო რეგიონებში, რადგან ასეთი მაღალი დონის განათლების ცენტრები არის გადარჩენა“ – ასე შეაფასა კავკასიის უნივერსიტეტის პრეზიდენტმა კახა შენგელიამ თავის გაცნობით სიტყვაში სასწავლო ცენტრ „სპექტრის“ საქმიანობა და მისი წარმატებები.შემდეგ კი თანმხლებ პირებთან ერთად ძალიან უშუალო და ინფორმაციული ხასიათის პრეზენტაცია ჩაატარა, რომელიც სიმბოლურად დაემთხვა ერთიანი ეროვნული გამოცდების რეგისტრაციის დაწყების დღეს. იქ მყოფ მოსწავლეებს სრული წარმოდგენა შეექმნათ კავკასიის უნივერსიტეტზე, მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი მათგანი სხვა უმაღლეს სასწავლებელში აპირებდა ჩაბარებას, შეხვედრის მერე რადიკალურად შეიცვალეს აზრი და მტკიცედ გადაწყვიტეს, რომ სწორედ აქ მიიღონ მომავალში განათლება. დავინტერესდით რა აღნიშნული შეხვედრით და მოსწავლე-აბიტურიენტების განწყობებით, სტუმრად ვეწვიეთ „სპექტრს“ მათი შთაბეჭდილებების გასაზიარებლად.



**თაკო ნატროშვილი** (აბიტურიენტი): „ძალიან საინტერესო და მეგობრული შეხვედრა გვქონდა, ჩვენსა და მათ შორის უშუალო ურთიერთობა დამყარდა, მე გუშინდელმა დღემ რადიკალურად შემაცვლევინა აზრი და გადავწყვიტე, კავკასიის უნივერსიტეტის ფსიქოლოგიურ ფაკულტეტზე ჩაბარება.

**ნინო სულაშვილი** (აბიტურიენტი): – ისედაც აქ ვაპირებდი სწავლას, მაგრამ შეხვედრის მერე კიდევ უფრო გამიმყარდა გადაწყვეტილება.



**ხათუნა გუშარაშვილი** – „ძალიან თბილი შეხვედრა იყო, მეგონა, დისტანციური ხასიათის იქნებოდა, მაგრამ მივიღეთ თბილი და ინფორმაციული, სრული წარმოდგენა შეგვექმნა, თუ რა ხდება უნივერსიტეტში.

**თეკლა ჯიბლაშვილი,** – (მერვეკლასელი) „ძალიან მომეწონა გუშინდელი შეხვედრა. მიუხედავად იმისა, რომ ისედაც კავკასიის უნივერსიტეტში ვაპირებ სწავლას, გუშინ უფრო ღრმად დავრწმუნდი ამაში. ვფიქრობ, ასეთი შეხვედრები დაეხმარება ჩემს თანატოლებს, ადრეულ ასაკშივე მიიღონ ასეთი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები“.

**ნიკა სიჭინავა,** – წარჩინებული მოსწავლე – პრეზენტაციაზე განსაკუთრებით მომეწონა, თითოეულმა დეკანმა რომ წარადგინა თავაისი ფაკულტეტი და საქმიანობა, განახლებული შენობაც მომეწონა, უნდა აღვნიშნო, რომ სრული წარმოდგენა შემექმნა კავკასიის უნივერსიტეტზე.

**ნინო ლომსაძე** (აბიტურიენტი):- დედოფლისწყაროელი აბიტურიენტებისთვის იყო უნიკალური დღე. შეხვედრა დროული, მრავლისმომცველი და საინტერესო იყო. განსაკუთრებით მოვიხიბლე უშუალო დამოკიდებულებით მოსწავლე-ახალგაზრდობისადმი. მინდა აღვნიშნო, რომ ჩემმა რამოდენიმე მეგობარმა სწორედ დღეს გააკეთა პროფესიული არჩევანი. დიდი მადლობა „სპექტრს“ ამ დღისთვის.

**ზურა გოგოშვილი** (აბიტურიენტი): „ამ შეხვედრამ დამარწმუნა, რომ მთავარი განათლების მაღალი ხარისხია და მნიშვნელობა არ აქვს, უნივერსიტეტი კერძოა თუ სახელმწიფო. კონკრეტულად კავკასიის უნივერსიტეტის შემოთავაზებები ძალიან მომხიბვლელია, მე დავინტერესდი საჯარო მართვის ფაკულტეტით. განსაკუთრებით აღსანიშნავია გაცვლითი პროგრამები, რომელსაც კავკასიის უნივერსიტეტი სთავაზობს ახალგაზრდებს. მადლობა ქალბატონ ნუნუს ასეთი შეხვედრის ორგანიზებისთვის.

დასასრულს ქალბატონმა ნუნუმ კიდევ ერთხელ სიამაყით აღნიშნა, რომ ამ ეტაპისთის მისი ცენტრიდან სულ 62 მოსწავლე სწავლობს კავკასიის უნივერსიტეტში, მათ შორის არიან ნატალი მაძღარაშვილი, იზაბელა გაბრიელაშვილი, გიორგი შანშიაშვილი, თაკო სეხნიაშვილი, თიკა გიგაური, ნატო ბაგალიშვილი, ქეთი შანშიაშვილი, თიკო ბაკაშვილი, მარი აფციაური, თამარ და მარი ბექაურები, მზექალა ზვიადაური, დიანა წიკლაური, ილია ტუხაშვილი, ლანა გორაშვილი, ანა და დეა ხოსროშვილები, ლიკა ტოკლიკიშვილი (მაგისტრატურა), ნინო ბზუკაშვილი, ეკა ნასრაშვილი და სხვები, ზოგიერთმა უკვე დაამთავრა, მეშინია, რომელიმე არ გამომრჩეს... – გვეუბნება ქალბატონი ნუნუ.

ჩვენ ისღა დაგვრჩენია, წარმატებები ვუსურვოთ მოსწავლე-ახალგაზრდებს, აბიტურიენტებს, სტუდენტებს, თაობას, რომელმაც უნდა შექმნას ჩვენი ქვეყნის ხვალინდელი დღე და რომელსაც ასეთი იმედის თვალით შევყურებთ ყველა.

ელზა ხარაშვილი



# ნენე კვინიკამის არაზღაპრული მანიფესტი გაეროში – „იყო ერთი გოგოს“ ამბავი გრძელდება

11 მარტს ნიუ-იორკში, გაეროს ქალთა სტატუსის კომისიის (CSW63) 63-ე სესიაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს დელეგაციამ, რომლის შემადგენლობაშიც იყო მწერალი ნესტან ნენე კვინიკაძეც – ავტორი ერთ-ერთი ზღაპრისა, მამაც ქართველ გოგოებზე დაწერილი თანამედროვე ზღაპრების კრებულიდან, რომელიც გაეროს ქალთა ორგანიზაციის საქართველოს ოფისის ხელშეწყობით და შვედეთის მთავრობის მხარდაჭერით, გასულ წელს გამოიცა.

ნენე კვინიკაძემ გაეროში მოკლე, მაგრამ ბევრისმთქმელი სიტყვა თქვა. როგორც ამ ღონისძიების მონაწილეს, სურდა, მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე დიდი პლატფორმა იმის სათქმელად გამოეყენებინა, რაც მისთვის ყველაზე მთავარი სათქმელია:

**„ამიტომ, ვეცადე შუშანიკიდან–დემნა გვასალიამდე, ისე როგორც 9 აპრილიდან - ფემიციდის დღევანდელ სტატისტიკამდე 6 წუთში ჩავტეულიყავი. გაეროს შენობაში ბევრი „ზღაპარი“ მოყოლილა, მაგრამ ჩვენი ზღაპრები მხოლოდ სტილისტურადაა ზღაპრები, რეალურად კი,ჩვენი მაგარი გოგოებით ინსპირირებული ერთგვარი მანიფესტებია“.**

რატომ გვჯერა ზღაპრების? - იკითხა ნენემ გაეროს მაღალი ტრიბუნიდან და იმ 6 წუთში ეს ამბავი მოყვა:

**„ჩვენი ქვეყნის ისტორია გაყალბებულია. ისტორიაში გაბათილებული და სახეცვლილია ყველა მნიშვნელოვანი მოვლენა და ამ მოვლენების მთავარი გმირების სახელები. ჩვენი ქვეყნის სახელს არასწორად წარმოთქვამდნენ და დღესაც განმარტებაა საჭირო იმის ასახსნელად, თუ რომელი საქართველოს წარმომადგენელი ხარ. ჩვენ სხვები გვიზომავდნენ საზღვრებს და დღემდე ვაგრძელებთ მავთულხლართებში ცხოვრებას.**

მაშინ, საბჭოთა სკოლაში არ გვასწავლიდნენ, რომ ჩვენ იმთავითვე ევროპის ნაწილი გახლდით. რომ ჩვენი ამბავი შესანიშნავად შეიძლება მოყვეს რაბათის ციხემ, მეჩეთს, სინაგოგას და ეკლესიას ერთ სივრცეში რომ იტევდა. ვიცოდით, რომ მეხუთე საუკუნეში დაიწერა ჩვენი „შუშანიკის წამება“, მაგრამ არ გვეუბნებოდნენ, რომ ის ფემინისტური რომანია. ჩვენთან დაიწერა „ვეფხისტყაოსანიც“, – პოემა, სადაც ასე საუცხოოდ გაერთიანდა ქრისტიანული მორალი და ისლამური ესთეტიკა. ჩვენში ერთმა პოეტმა და მწერალმა შექმნა მე–19 საუკუნის მეორე ნახევარი, ის ვინც საკუთარი ძალები დრამატურგიაშიც და საბანკო საქმეშიც, სამეურნეო წინსვლაშიც და პუბლიცისტიკაშიც მოსინჯა. ილია ჭავჭავაძემ ჩვენი იდენტობა განსაზღვრა.

პროპაგანდისტული პოსტერების მიღმა, ჩვენი ისტორიიდან წაშლილია ქალის სახეც, რადგან საბჭოთა კავშირში ყველაზე მეტად, რეალურად ძლიერი ქალების ეშინოდათ.

შიშის მიზეზი ჰქონდათ. საქართველოში, ქრისტიანობის გავრცელებაც ქალის სახელს უკავშირდება, ყველაზე საინტერესო მეფობის დრო, კი მეფედ წოდებულ ქალ მმართველს. საქართველო იმ პირველ 20 ქვეყანაშია, სადაც არჩევნებში ხმის მიცემის პროცესში ქალები მონაწილეობდნენ. ეს იყო 1918 წელს. ამავე პერიოდში ჩვენ გვქონდა გაზეთი "ხმა ქართველი ქალისა" რომელსაც ჟურნალისტი და ფემინისტი კატო მიქელაძე რედაქტორობდა.

მეორე მსოფლიო ომში ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში ათასობით ქართველი ქალი მონაწილეობდა. მათგან ზოგი სკოლის მოსწავლე იყო. 1978 წელს, როდესაც ქართულ ენას სახელმწიფოებრიობას ართმევდნენ, მრავალათასიანი მიტინგისთვის მოწოდებები პლაკატებზე ქალების პომადებით დაიწერა. როდესაც 1989 წლის 9 აპრილს საქართველოს დედაქალაქის ცენტრში, რუსული ჯარი შემოიჭრა, რუსმა ჯარისკაცებმა ათასობით მშვიდობიანი მომიტინგეს დარბევა დაიწყეს, გამოიყენეს აკრძალული მომწამვლელი გაზი და ქალები ნიჩბებით დახოცეს.

ამ ქალების და გოგონების მსხვერპლმა ჩემ ქვეყანას 70 წლის შემდეგ დამოუკიდებლობა დაუბრუნა. და მაშინ, როდესაც დამოუკიდებელი ქვეყანა, კატასტროფული ეკონომიკური პრობლემის წინაშე დადგა, ქალებმა გამოიყენეს ყველა ლეგალური და არალეგალური გზა სხვა ქვეყნებში მოსახვედრად, ისინი დათანხმდნენ მძიმე ფიზიკურ შრომას იმისთვის, რომ საკუთარ ოჯახებში ფული გამოეგზავნათ. 90-იან წლებში, საკუთარ ოჯახებში მათ მიერ გამოგზავნილმა ფულმა გადაარჩინა საქართველოს ეკონომიკა. ეს იყო ერთადერთი ფული, რომელიც ქვეყანაში ტრიალებდა.

ჰოდა, საშიშები იყვნენ ქართველი ქალები საუკუნეების წინ, საბჭოთა კავშრის პერიოდში და დამოუკიდებლობის ეპოქაშიც. ალბათ ამიტომაც, დღეს უკვე არა წითელი ტერორის ხელი, – ქმრები კლავენ ცოლებს. ბოლო წლებში ფემიციდის სტატისტიკა, კატასტროფულად დიდია, რაც ოთხმილიონიანი ქვეყნისთვის საგანგაშოა.

***ჩვენ გამოსავალს ადრეულ აღზრდაში ვხედავთ. წიგნებში, რომელსაც ბავშვები პირველად შეეხებიან. გადავწყვიტეთ ამ წიგნებში გამქრალი ქალები დავაბრუნოთ. ყველაზე მცირე ასაკიდან მოუყვეთ შვილებს მათი უნიკალურობის და შესაძლებლობების შესახებ.***

ესაა გამოსავალი დღევანდელ დღეს. დღეს, როდესაც მართალია შუასაუკუნეების ბურუსს გავცდით, აღარც ფიზიკური ნაკლის მქონე ჩვილებს ვყრით მდინარეში და აღარც ჭლექით დაავადებულებს ვახრჩობთ საბნის ქვეშ. მაგრამ, დღეს ლამისაა აღარ ვენდოთ მედიკამენტების ანოტაციებს. ეჭვის თვალით ვუყურებთ ვაქცინაციებს და ბავშვების სიცოცხლეს რისკის ქვეშ ვაყენებთ … დღეს, როცა ისე უმნიშვნელოდ ჩამოვსქროლავთ ფეისბუქს და გადავახტებით საშინელი მკვლელობების ამბებს, ომების ქრონიკას. ვსქროლავთ, ვკითხულობთ სასტიკი ამბების ჰედლაინებს და თან კარაქს ვუსვმევთ კრუასანს. ჩვენ ველარ ვიჯერებთ რეალურ ამბებს. გაუცხოება გვაქვს. სამაგიეროდ, თვალზე ცრემლი გვადგება, როდესაც ფილმში შეყვარებულები შორდებიან ერთმანეთს. განვიცდით, გულს გვიჩქარებს თეატრალურ კოსტუმში გამოწყობილი მსახიობების დანახვა, ვიცით, რომ რამდენიმე საათის წინ, მათ კულისებში გაიკეთეს გრიმი, გამოვიდნენ სცენაზე და გვითხრეს მე ჯულიეტა ვარ, მე - ჰამლეტი და ჩვენც დავიჯერეთ. მაინც გვჯერა. რატომ გვჯერა?

იმიტომ, რომ კინოშიც და თეატრშიც, ეს ზუსტი ინტონაციაა, ამბის გადმოცემის ასეთი ფორმა ზღაპარს გვაგონებს. ბავშვობაში გვაბრუნებს. პირველი შთაბეჭდილებები გვახსენდება. ის თავგადასავლები, ის შიშები, ის გამარჯვება, ის ატმოსფერო მუდამ ჩვენთანაა, რადგან




რომ დაუკვირდეთ, რეალურად, არაფერი ისე არ გავს ჩვენ ცხოვრებას, როგორც ზღაპარი, თავისი იდუმალებით, სასპენსით, სიძნელეებით, ბრძოლის გარდაუვალობით, მოხუცი მეფეებით, ლამაზი გოგო-ბიჭებით, კეთილებით და ბოროტებით. ჩვენში ამ დაუჯერებელმა ამბებმა განაპირობა ნდობა რეალური სამყაროსადმი. შესაბამისად, თუ ჩვენი შვილების აღქმა და ასოციაციები საწყის ეტაპზე გაიაზრებს, რომ დიდი ვარდისფერი კაბა სულაც არ ნიშნავს წარმატებას და არც ბედნიერების გარანტიას იძლევა.. რომ გოგო ზუსტად მაშინაა მოსაწონი, როდესაც ძლიერია, არ ეშინია, საინტერესო წიგნებს წერს, ვერტმფრენს მართავს და ომებს იგებს, მაშინ ნაკლები ენერგიის დახარჯვა მოგვიწევს ასე რთულად აღქმულ სიმარტივეზე.

აი, ამიტომ, ზღაპრებში ჩვენ მაგარ ქალებს ვაბრუნებთ.

მიგვაჩნია, რომ ეს საუკეთესოა ჩვენი შვილებისთვის. დედებმა ყოველთვის იციან რა ჯობია შვილებისთვის, მაშინაც კი, როცა ძალიან მძიმეა მოცემულობა. აი მაგალითად, ჯონათან ლითლი თავის შესანიშნავ რომანში THE KINDLY ONES წერს: მეორე მსოფლიო ომის დროს, დასახვრეტთა რიგში მდგარმა დედამ, რომელსაც ქმარი და სამი შვილი ახლდა, გერმანელ ჯარისკაცს სთხოვა, - გემუდარებით, ბავშვებს ისე ესროლეთ, რომ იმ წამსვე მოკვდნენ. არ იტანჯონ… დედა მაშინაც საუკეთესოს ირჩევდა შვილებისთვის.

ჩვენ ქვეყანაში, ისე როგორც სხვაგან, ბავშვების უმრავლესობას ბევრი რამ აკლია. მე და ჩემ კოლეგებს არ შეგვიძლია სიღარიბის დაძლევის პროგრამა შევადგინოთ. ჩვენ შეგვიძლია ვწეროთ. ვწეროთ ზღაპრები, რომლებსაც ან დედა მოგიყვება, ან ვიღაც, ვისაც დედასავით უყვარხარ.

ამ ზღაპრების ავტორების უმრავლესობა, მეტწილად, ერთი თაობისაა. ჩემი თაობა უფრო იღბლიანი აღმოჩნდა. ჩვენ გავიაზრეთ, რომ ყველგან, სადაც მოხვდები, თან შენი ნამდვილი ამბავი უნდა წაიღო. შენი ამბები მოყვე. რადგან ამბავი, თუ გულწრფელად და საინტერესოდაა ის მოყოლილი, მსმენელს იპოვის.

ჩემმა თაობამ, დროს, რომელიც თინეიჯერობისას წელში გვტეხდა, ევროპას და დანარჩენ სამყაროს ხელოვნურად გვაშორებდა, იმ დროს, თითქოს, სამაგიერო გადავუხადეთ, – ის ტკივილები ლიტერატურულ და კინო ამბებად ვაქციეთ. დღეს, 1990–იანი წლები ჩვენთვის ის მდიდარი მედიუმია, რომელიც არ ილევა. გადავყოფთ ხელს და დაუჯერებელ ამბებს ამოვაყოლებთ, გნებავთ გრძელს, გნებავთ მოკლეს, ძალიან სასაცილოს და სასტიკად მტკივნეულს.

ამ თემებზე ლაპარაკით დავიცალეთ და ყურადღებაც მივიქციეთ. ამ ამბებს დააშენეს თავიანთი შემოქმედება მაგალითად ნინო ხარატშვილმა, დღეს უკვე ევროპაში სახელგანთქმულმა ქართველმა მწერალმა და ამ ტრავმებზე რეფლექსიაა ბალენსიაგას სახლის ხელმძღვანელის ასევე ქართველის დემნა გვასალიას ვეტმონ.

და ბოლოს, დღეს ჩვენ შევიკრიბეთ მსოფლიოში ყველაზე სერიოზულ პლათფორმაზე და ეს შეხვედრა ზღაპრების კონტექსტშია მოქცეული. თუ ეს ასეა, მიიღეთ ჩემი სიტყვა, როგორც მაგალითად, სავარცხლის სროლა გამოუვალი სიტუაციის ჟამს. ზღაპრის ყველა წესის დაცვის მიხედვით ამ სავარცხელმა რაღაც უნდა შეცვალოს“.

ეს წიგნი სხვა ქვეყნებისთვისაც იქცა ინსპირაციად:

„ირანის წარმომადგენელი იდეით დაინტერესდა, ინდუსმა გოგონამ მითხრა, ამ ტიპის წიგნის პროექტზე ვმუშაობ და რეკომენდაცია და დახმარება ითხოვა. გამოითქვა სურვილი, რომ „იყო ერთი გოგოს“ კრებული არა მხოლოდ ქართულად და ინგლისურად, სხვა ენებზეც ითარგმნოს. და ლოგიკურიცაა, ზღაპარი ყველას თავის ენაზე სჭირდება. ვულოცავ ჩემს კოლეგებს, ზღაპრების ავტორებს იმ ზუსტ ადგილას მოხვედრას, რაც კიდევ უფრო წაადგება საერთო საქმეს“, - ამბობს ნენე კვინიკაძე.

ზღაპრების ეს კრებული „იყო ერთი გოგო“ - გაეროს ქალთა ორგანიზაციის საქართველოს ოფისის ინიციატივით გამოიცა და მასში თავმოყრილია ზღაპრები იმ ქალებზე, რომლებმაც საქართველოს ისტორიასა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში საკუთარი კვალი დატოვეს.

# დემნა გვასალიას ჯინსის ქურთუკი, რომელზეც ქართველი პოეტების სახელებია დატანილი 2035 ევრო ღირს

„Vetements“-ის ჯინსის ქურთუკი, რომელზეც ქართველი პოეტების სახელებია დატანილი, გაყიდვაში გამოვიდა. მისი ფასი 2035 ევროა. Demna Gvasalia Daily-ის ინსტაგრამზე ამ ქურთუკზე დაწერილი სახელების მოკლე განმარტებაცაა. „Vetements“-ის ჯინსის ქურთუკი ქართველი პოეტების სახელებით.

გსურთ იცოდეთ ვინ არიან ისინი? შოთა რუსთაველი - შუასაუკუნეების ქართველი პოეტი. ის ითვლება საქართველოს ოქროს ხანის გამოჩენილ პოეტად და ქართული ლიტერატურის ერთ-ერთ უდიდეს ავტორად. რუსთაველი ავტორია წიგნისა „ვეფხისტყაოსანი“, რომელიც ითვლება საქართველოს ეროვნულ ეპიკურ პოემად. ვაჟა ფშაველა - ქართველი პოეტისა და მწერლის, ლუკა რაზიკაშვილის ფსევდონიმია. ის ითვლება ქართულ ლიტერატურაში ყველაზე მაღალი დონის პატრიოტად.

გალაკტიონ ტაბიძე - იყო მეოცე საუკუნის წამყვანი ქართველი პოეტი, რომლის შემოქმედებამაც დიდი გავლენა მოახდინა შემდეგი თაობის ქართველ პოეტებზე. ქართველი პოეტების გარდა, ქურთუკის მარჯვენა მკლავზე დატანილია წარწერა - სოხუმი 93, მარცხენაზე კი - გალაკტიონის ლექსი „მე და ღამე“.



# რა იცვლება ერთიან ეროვნულ გამოცდებში 2019 წელს?

ერთიანი ეროვნული და საერთო სამაგისტრო გამოცდების ჩასაბარებლად და სტუდენტთა საგრანტო კონკურსში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია 2019 წლის 12 მარტის 10:00 საათიდან დაიწყო. შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ინფორმაციით, რეგისტრაცია 3 აპრილის 18:00 საათამდე გაგრძელდება. მონაწილეობის მიღების მსურველებმა რეგისტრაცია შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ვებგვერდებზე (www.naec.ge და online.naec.ge) ელექტრონულად უნდა გაიარონ.

აბიტურიენტთა რეგისტრაციის პროცესი წელსაც რამდენიმე ეტაპად ჩატარდება: პირველ, ძირითად ეტაპზე აბიტურიენტებს შეეძლებათ პირადი მონაცემების შეტანა, საგამოცდო ქალაქისა და ჩასაბარებელი საგნების არჩევა. 3 აპრილის შემდეგ აბიტურიენტი ველარ შეცვლის საგამოცდო ქალაქს, თუმცა 7 მაისის 18:00 საათამდე შეეძლება გამოცდის დამატება ან საგნის შეცვლა. რაც შეეხება საგანმანათლებლო პროგრამების ჩამონათვალს, სარეგისტრაციო განაცხადში საგანმანათლებლო პროგრამების მითითებისა და შეცვლის საშუალება აბიტურიენტს აპელაციების შედეგების გამოქვეყნების შემდეგი დღის ჩათვლით ექნება. პროგრამებზე განაცხადების რაოდენობის შესახებ ინფორმაციის გაცნობა აბიტურიენტებს სპეციალური სისტემის მეშვეობით შეეძლებათ - რეგისტრაციის დაწყებიდან ამოქმედდება გვერდი, რომელზეც განთავსდება განახლებული ინფორმაცია კონკრეტულ პროგრამებზე განაცხადების რაოდენობის შესახებ. ცენტრის ვებგვერდზე (www.naec.ge) განთავსდება საინფორმაციო ცნობარი, რომლითაც აბიტურიენტმა არჩევანის გაკეთებისას უნდა იხელმძღვანელოს. ცნობარში მოცემულია რეგისტრაციის ინსტრუქცია, ხშირად დასმული კითხვები, საგანმანათლებლო პროგრამების ჩამონათვალი და ა. შ. ასევე გამოიცა ცნობარის ბეჭდური ვერსიაც („ცნობარი აბიტურიენტისათვის“).

2019 წელს ერთიანი ეროვნული გამოცდების მიმართულებით რამდენიმე ცვლილება იგეგმება. ერთ-ერთი ცვლილება გრანტის აღების წესს ეხება. „აბიტურიენტს ახლა შეუძლია, ოთხი გამოცდის გარდა, ჩააბაროს რამდენი გამოცდაც უნდა განუსაზღვრელად. მაგალითად, ჩავაბარე 4 გამოცდა, ვცადე კიდევ 2-ის ჩაბარება და ჩავიჭერი რომელიმე არჩევით საგანში, ავად გავხდი ან ვერ მივედი გამოცდაზე. ამ შემთხვევაში მე გრანტის მიღების შანსს ვკარგავდი. ახალი მიდგომით, ახლა ამ შესაძლებლობას არ ვკარგავ თუ სხვა გამოცდებში დადებითი შედეგი მაქვს. შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი ამ მიდგომას უსამართლოდ მიიჩნევს და წელს ეს იქნება ერთადერთი ცვლილება, რაც კანონმდებლობის დონეზე დარეგულირდება.“ - განაცხადა „ინტერპრესნიუსთან“ საუბრისას შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელმა სოფიო გორგოძემ. გარდა ამისა, შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ინფორმაციით, 2019 წელს ცვლილება ოთხ გამოცდას (ქართულ ენასა და ლიტერატურას, ლიტერატურას, გეოგრაფიასა და უცხოურ ენებს) შეეხება. მათივე განცხადებით, წინა წლების ტესტების ანალიზმა და პედაგოგებთან ერთად ამ გამოცდების შედეგების განხილვამ აჩვენა, რომ აბიტურიენტის ცოდნისა და უნარების უკეთ შესაფასებლად მიზანშეწონილია ამ საგამოცდო ტესტებში გარკვეული ცვლილებების შეტანა. რაც შეეხება უშუალოდ ტესტებში შეტანილ ცვლილებებს:




**ქართული ენისა და ლიტერატურის გამოცდა:**

ტესტში იქნება მხოლოდ 3 დავალება: ტექსტის რედაქტირება (მაქსიმალური 16 ქულა), არგუმენტირებული ესე (მაქსიმალური 24 ქულა) და მხატვრული ტექსტის ანალიზი (მაქსიმალური 30 ქულა). ასე რომ, წინა წელთან შედარებით 2019 წლის ქართული ენისა და ლიტერატურის საგამოცდო ტესტს მოაკლდება 15 ქულიანი არჩევითპასუხებიანი დავალება (წაკითხულის გააზრება), მხატვრული ტექსტის ანალიზს კი დაემატება 5 ქულა; შესაბამისად, საგამოცდო ტესტი იქნება 70 ქულიანი და არა 80 ქულიანი, როგორც ეს წინა წლებში იყო; ტესტის დავალებების შემცირებასთან ერთად შემცირდება საგამოცდო დროც და გახდება 3 საათი და 45 წუთი.

**უცხოური ენების გამოცდა:**

ტესტიდან ამოღებულია ერთ-ერთი დავალება. ეს არის მე-7 არჩევითპასუხებიანი დავალება, რომელიც გრამატიკის ცოდნას ამოწმებდა. გრამატიკის ცოდნა შემოწმდება ტესტში არსებული წერითი დავალებების საშუალებით. საგამოცდო ტესტის მაქსიმალური ქულა იქნება 80 და არა 90, როგორც ეს წინა წელს იყო; შესაბამისად, საგამოცდო დრო გახდა 2 საათი და 30 წუთი (დრო 10 წუთით შემცირდა).

**ლიტერატურის გამოცდა:**

ტესტიდან ამოღებულია ერთი წერითი დავალება, სამაგიეროდ გაიზრდება ღია კითხვების ბლოკი (მაქსიმალური ქულაა 40 ნაცვლად 30-ისა) და მხატვრული ტექსტის ანალიზის მაქსიმალური ქულა იქნება 30 ნაცვლად 25-ისა. საგამოცდო ტესტის მაქსიმალური ქულა იქნება 70 და არა 80, როგორც ეს წინა წლებში იყო;

ტესტის დავალებების შემცირებასთან ერთად შემცირდება გამოცდისათვის განკუთვნილი დროც — 4 საათისა და 15 წუთის ნაცვლად, იქნება 4 საათი.

**გეოგრაფიის გამოცდა:**

- ტესტში გაიზრდება ე.წ. ღია დავალებების ხვედრითი წილი, რომლებიც კიდევ უფრო მეტად იქნება ორიენტირებული ცოდნის გამოყენებასა და ანალიზზე;
- შემცირდება ე.წ. არჩევითპასუხებიანი კითხვების წილი და დაემატება 1, 2, 3 და 4 ქულიანი ღია დავალებების ბლოკი;
- ტესტში უცვლელია შემდეგი დავალების ტიპები: კითხვა არჩევითი პასუხებით; რუკის ანალიზი (ფიზიკური და ტოპოგრაფიული); ინფორმაციის ანალიზი;
- ტესტის მაქსიმალური ქულა იქნება 60 ნაცვლად 59-ისა;

აბიტურიენტებს გამოცდაზე კვლავინდებურად დაურიგდებათ საქართველოსა და მსოფლიოს A3 ფორმატის ფიზიკური რუკები და შესაბამისი დავალებისათვის გათვალისწინებული ტოპოგრაფიული რუკები. შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ინფორმაციით, 2019 წელს ერთიან ეროვნულ გამოცდებში სხვა ტიპის სიახლე არ იგეგმება.

გამოსაშვები გამოცდების გაუქმებამ, გააჩინა კითხვა ხომ არ იგეგმება ეროვნული გამოცდების ჩატარების თარიღის გადმოწევა, რაზეც ცენტრის ხელმძღვანელმა სოფიო გორგოძემ განაცხადა, რომ ერთიანი ეროვნული გამოცდების თარიღების გადმოწევა არ იგეგმება. მისაღები გამოცდები იმავე პერიოდში ჩატარდება, როგორც ტარდებოდა - ივლისის დასაწყისიდან თვის ბოლომდე.რაც შეეხება საგამოცდო ცენტრებისა და ქალაქების რაოდენობას, სადაც გამოცდები უნდა ჩატარდეს, ძირეული ცვლილებები არც აქ იგეგმება. „საგამოცდო ცენტრები შესაძლოა, დაემატოს. ვითვალისწინებთ იმას, რომ ატესტატი მეტ ბავშვს ექნება, ამიტომ ვფიქრობ, გაიზრდება იმ აბიტურიენტების რაოდენობა, რომლებსაც ეროვნული გამოცდების ჩაბარების შანსი ექნებათ. შესაძლოა, დავამატოთ 2 ან მეტი ცენტრი, ეს იმაზე იქნება დამოკიდებული, რამდენი აბიტურიენტი დარეგისტრირდება. რაც შეეხება ქალაქებს, სადაც გამოცდები უნდა ჩავატაროთ, მათი რაოდენობის შემცირება ან გაზრდა ბევრ რამესთან არის დაკავშირებული, ამიტომ რაიმე ცვლილების განხორციელება თუ დაიგეგმება უახლოეს მომავალში გაცნობებთ“ - აღნიშნა სოფიო გორგოძემ.

**მოამზადა**
ჟუჟუნა ყანჩაშვილმა

# რა ხდება გალში და რა პირობებში უწევთ საქართველოს მოქალაქეებს ცხოვრება?

ირაკლი კვარაცხელიას გაუგებარ ვითარებაში გარდაცვალების შემდეგ, ოკუპირებულ სოფელ პირველ ოტობაიაში საქართველოს მოქალაქე ლევან ძანძავა გაიტაცეს. როგორც ადგილობრივები ყვებიან, ძანძავას საცხოვრებელ სახლში დე ფაქტო ხელისუფლების ომონი (სპეცდანიშნულების რაზმი) ხუთშაბათს დილით შევარდა და გაიტაცა. აყვანისას მამაკაცს ფიზიკურად გაუსწორდნენ.

უცნობია, კონკრეტულად რას ედავებიან დაკავებულს. თუმცა, ადგილობრივები ეჭვობენ, რომ მისი გატაცება ირაკლი კვარაცხელიასთან არის დაკავშირებული. ირკვევა, რომ კვირას რუსმა ოკუპანტებმა ორივე ერთად გაიტაცეს. მოგვიანებით კი ძანძავამ გამტაცებლებისგან თავის დაღწევა შეძლო. დაკავებულის ახლობლები ყვებიან, რომ ხუთშაბათს დილით პირველ ოტობაიაში უამრავი სპეცრაზმელი მივიდა და ძანძავა სახლიდან ძალით გაიყვანა. „ეს ბიჭი ერთ-ერთი მოწმეა, რომელიც კვარაცხელიას ცემის ფაქტს შეესწრო. როგორც ჩანს, შეეშინდათ, რომ რამე არ ეთქვა და ამიტომ წაიყვანეს. სხვა არაფერი ეჭვი არ გვაქვს. საკმაოდ პატიოსანი და კარგი ოჯახია. სავარაუდოდ, შეაშინებენ, რომ არაფერი თქვას. ასე ამბობენ, რომ სოხუმშია გადაყვანილი“, - აცახდებენ ადგილობრივები. რა ხდება გალში და რატომ გახშირდა ე.წ. საზღვარზე ქართველების დაკავების თუ გატაცებების ფაქტები? გალის მკვიდრი მარი ჩიტაია ყვება, რომ სიტუაცია საკმაოდ მძიმეა და ქართველები გაუსაძლის პირობებში ცხოვრობენ. მისი თქმით, ყველა გალში მცხოვრებ ადამიანს გათვითცნობიერებული აქვს ის საფრთხე, რაც მას შეიძლება უკანონოდ გადასვლის დროს შეემთხვას.

მოსახლეობას ენგურზე გადაადგილებისთვის საჭირო საბუთების აღება უჭირს, მეტიც, მათი უმრავლესობისთვის ეს რეალურად შეუძლებელია. ჩიტაია ამბობს, რომ ერთი მხრივ ნებართვის აღება საკმაოდ ძვირია და, მეორე მხრივ კი, სერიოზულ ბიუროკრატიულ პრობლემებთან არის დაკავშირებული. ნებართვის აღების პირობებს სამ თვეში ერთხელ ცვლიან და მისი ღირებულება 1000 ლარს აღწევს. „ეს თანხა საკმაოდ ძვირია იქ მაცხოვრებელი ადამიანებისთვის, რომლებსაც ეკონომიურად საკმაოდ უჭირთ და ფაქტობრივად ბლოკადაში ცხოვრობენ. ამიტომაც გარკვეული რისკის ფასად ცდილობენ, რომ შემოვლითი გზებით გალიდან ზუგდიდში გადმოვიდნენ. ადგილობრივები სხვადასხვა საგუშაგოებიდან ფარულად გასვლას ცდილობენ. პირველი დაკავების შემთხვევის დროსაც კი არსებობს საფრთხე, რომ ისინი საპატიმროში აღმოჩნდნენ. გამოსახსნელი მინიმალური თანხა ადრე თუ სამოცი ლარი იყო, ახლა 500 ლარიც კი არ არის საკმარისი. სანამ ოჯახის წევრები საკმარის თანხას არ მიიტანენ, მანამდე პატიმრობაში ამყოფებენ. ყოფილა შემთხვევები, რომ მცირეწლოვანი ბავშვებიც კი დაუკავებიათ. სხვადასხვა დროს დედები მცირეწლოვან ბავშვებთან ერთად აიყვანეს. პრობლემა ადრეც იყო გადასვლაზე, მაგრამ ეს მხოლოდ მცირე ჯარიმები იყო და ხალხს ეს ამად ულირდა. „ახლა გამოსასყიდის გაზრდასთან ერთად, ოკუპანტები უფრო აგრესიულები გახდნენ და შეპასუხების ან წინააღმდეგობის გაწევის შემთხვევაში, კაცმა არ იცის, რა შეიძლება მოხდეს. უკეთეს შემთხვევაში დააპატიმრებენ, უარეს შემთხვევაში კი შეიძლება ცემით მოგკლან. ადრე ერთი ბილიკი იყო ოტობაია-ორსანტიას დამაკავშირებელი საცალფეხო გზა, ისიც გადათხარეს , რომ ადამიანმა გადასვლა ვერ შეძლოს. ამიტომაც ხალხი მდინარით ცდილობს გადასვლას“, - აცხადებს მარი ჩიტაია. მისივე თქმით, მოსახლეობა ეკონომიკურ ბლოკადის გამო იძულებულია, რომ ზუგდიდში გადავიდეს, რადგანაც მათ თხილის და სხვა პროდუქტების გაყიდვა სხვაგან არ შეუძლიათ. გალში თხილს რომ კილოს 50 თეთრად იბარებენ, ზუგდიდში 2 ლარად ხდება მისი გაყიდვა. ჩიტაია აცხადებს, რომ საქართველოს ხელისუფლება იქ მცხოვრებ ხალხს ვერაფრით ეხმარება და ფაქტობრივად, ადგილობრივები ღვთის ანაბარად არიან მიტოვებულები.

## მონატრება

## თამილა პოპიაშვილი



ჩვენო ძირფასო თამილა, 18 მარტს შენი დაბადების დღეა, ყოველთვის ტელეფონის საშუალებით გილოცავდით ამ დღეს, ახლაც მესმის ყურში შენი მომხიბვლელი ხმა „ნანა, შენ არ გავიწყდება ჩემი დაბადების დღე..“ თამილა, შენ სავიზიტო ბარათი იყავი ჩემი ქმრის მურთაზის სანათესაოში, ყველაზე ახლო ურთიერთობა შენთან მქონდა, სოფელ გამარჯვების სასაფლაოზეც ერთად დავდიოდით..

ბოლო ჩვენი შეხვედრა შენს მეზობელთან, ციცო ჩაფიაშვილთან გვქონდა, 5 მაისს საიუბილეო საღამოს წამყვანი უნდა ყოფილიყავი, ციცო ჩემი კარის მეზობელია და ლამარა ხომ შენი და არის და ჩემთვის ძალიან ახლობლები არიანო – ამბობდი. საიუბილეო საღამოს პროგრამა ერთად შევადგინეთ. შენ მითხარი, თბილისში წავალ, ექიმს მუხლს ვაჩვენებ და გულდამშვიდებული ჩამოვალო, მაგრამ მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნას ჰგავდა შენი სიკვდილი. ნანა აფციაურმა დამირეკა და მკითხა, თამილა თბილისიდან ჩამოასვენესო. ვინ თამილა-მეთქი, გავიკვირვე. როცა გავიგე, რომ შენზე მეკითხებოდა, თავზარი დამეცა.

თამილა, შენმა ძმამ, თემურმა, მთელი თქვენი სანათესავო და სამეგობრო მოიწვია შენს დაკრძალვაზე, მართლაც რა დიდებული სანათესავო გყოლია, გავიცანი შენი ახლობლები, ვისთანაც თბილისში იყავი ჩასული, ისინიც შოკში იყვნენ... ყველას ძალიან დაგვწყვიტე გული, არა მარტო ნათესავებს და მეზობლებს, არამედ დედოფლისწყაროელებს, ვინც კი გიცნობდა. შენს მიერ გაკეთებული უამრავი სიკეთე გაგინათებს სასუფევლისკენ გზას, გვწამს, რომ შენი ბიძაშვილები: მურთაზი, ქიშვარდი, გივი, ტარიელი, შოთა, რძალი მარინე გიგოლაშვილი და შენი მშობლები არაფერს გაგიჭირვებენ..

თამილა, შენ ერთ-ერთი აქტიური წევრი იყავი ჩვენი მწიგნობართა ასოციაციისა. სანათესაოსა და მწიგნობართა ასოციაციის სახელით დაბადების დღეს გილოცავთ ზეციურ სასუფეველში და გიძღვნით ცნობილი პოეტის ჯუბა ლებელის ლექსს:

„მორჩა, მე მაინც მივდივარ,
მზეო, მაღლიდან მინათე,
მამისგან მოსულს მიწიდან,
მამას მიუვალ მიწადვე!

ჩვენო ძვირფასო და განუმეორებელო თამილა, შენს სახელს დავიწყება არ უწერია ნათესავების, ახლობლების, მეზობლების და მწიგნობართა ასოციაციის წევრებს შორის.

**ახლობლების და მეზობლების სახელით**
ნანა ქიქინაძე და ციცო ჩაფიაშვილი

## გამოსათხოვარი

## ლუიზა ჯაგაშვილი



თავზარი დაგვცა ჩვენი კოლეგის – ქალბატონ ლუიზა ჯაგაშვილის გარდაცვალებამ. თურმე რა მძიმედ ყოფილა ავად, ჩვენ კი ვერ ვამჩნევდით, სამწუხაროდ.

დაამთავრა თბილისის უცხო ენათა ინსტიტუტი და იმავე წელს (1973წ) დაიწყო მუშაობა სოფელ წითელწყაროს რუსულ საშუალო სკოლაში ინგლისური ენის მასწავლებლად. 47 წელი შეალია თავის საყვარელ საქმეს. იყო თითოეული პედაგოგის, თითოეული მოსწავლის გულშემატკივარი და მეგობარი. ჩვენი ლუიზა ისე გვამხიარულებდა, რომ დარდი გვავიწყდებოდა.

შემდეგ დადგა მისთვის უმძიმესი პერიოდი – ახალგაზრდამ ავტოკატასტროფის შედეგად დაკარგა მეუღლე. მარტომ გაზარდა ნიკა და ირმა. ეამაყებოდა კარგი შვილები და შვილიშვილები რომ ჰყავდა.

სოფელ ხორნაბუჯის საჯარო სკოლის კოლექტივი ემშვიდობება თავისი ოჯახის კიდევ ერთ ღირსეულ წევრს, ღირსეულ მეუღლეს, ღირსეულ დედას. უბრალოდ, ერთ ქართველ მანდილოსანს – ლუიზა ჯაგაშვილს.

სოფელ ხორნაბუჯის
საჯარო სკოლის კოლექტივი.

81 წლის ასაკში გარდაიცვალა შირაქის ერთგული მკითხველი
ნორა იაკობიშვილი ოზბეთელაშვილისა.
42 წელი გარდაცვლილი შვილის იარა ვერ მოიშუშა და გაჰყურებდა სიკვდილის გზას. ღმერთმა დაუმკვიდროს სასუფეველი და შეახვედროს საყვარელ ლალის.ნორა ბებიას უკანასკნელ გზას და ულოცავენ ოჯახის წევრები: დათო, მაია, ეთიკო, ნათია, რეზიკო ოზბეთელაშვილები, ნათესავები და მეზობლები.

გაზეთ „შირაქის“ რედაქციის და ყოფილი სტამბის ძველი და ახალი თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ სტამბის ყოფილ ბუღალტერს ნაზი ყოჩიაშვილ-ნატროშვილს შვილის
ალიკა ნატროშვილის
გარდაცვალების გამო.

მზია ქენქაძე და ნანა ქიჭინაძე ოჯახებით თანაგრძნობას უცხადებენ ნაზი, გია, გოჩა, დათო, ილია, ქეთინო, ნინო ყოჩიაშვილებს
ალიკა ნატროშვილის
გარდაცვალების გამო.

დედოფლისწყაროს ქართული საშუალო სკოლის 1965 წლის კურსდამთავრებულები იუწყებიან თანაკლასელის
ლუიზა ჯაგაშვილის
გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ მის ოჯახს.

# „ასეთი აქციები ჩემთვის დიდი ფუფუნებაცაა და საჭიროებაც“...

15 მარტს, დედოფლისწყაროს წითელი ჯვრის ოფისმა, ჰუმანიტარულ სამედიცინო აქციას უმასპინძლა. პაციენტებს თბილისიდან მოწვეული სამედიცინო ბრიგადა, რომლის შემადგენლობაშიც იყვნენ: ნინო სირაძე-ექიმი -რადიოლოგი, ნინო კალატოზიშვილი-ოფთალმოლოგი და ნინო ფურცელაძე-კარდიოლოგი, სამედიცინო კვლევებს უფასოდ სთავაზობდა.

ასეთი აქციები პერმანენტულად ტარდება და სოციალურად დაუცველი მოსახლეობა ძალიან კმაყოფილია. კვალიფიციური სამედიცინო მომსახურების დეფიციტს განსაკუთრებით სოფლების მაცხოვრებლები განიცდიან, რომელთათვისაც გზის ფული დამატებით ხარჯებთანაა დაკავშირებული.

მაია მარტყოფლიშვილი, **ზემო მაჩხაანი**:“მე სოფელში ვცხოვრობ და, მოგეხსენებათ, მიჭირს კვალიფიციური სამედიცინო მომსახურების მიღება. ეს ყველაფერი გარკვეულ დროს და თანხებს საჭიროებს. დღეს უფასოდ გავესინჯე ფარისებრ ჯირკვალზე და ძალიან კმაყოფილი ვარ, რადგან ეს კვლევა არსად არ ფინანსდება მთლიანად. მე სოციალურად დაუცველი ვარ და ასეთი აქციები ჩემთვის დიდი ფუფუნებაცაა და საჭიროებაც. დიდი მადლობა წითელ ჯვარს და მის პერსონალს“.

საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების დედოფლისწყაროს ფილიალის მობილური ამბულატორიის მენეჯერის ნათელა თამაზაშვილის ინფორმაციით, 15 მარტის სამედიცინო აქციით 28 პაციენტმა ისარგებლა და მიიღო კვალიფიციური სამედიცინო მომსახურება. მისივე განცხადებით, მსგავსი აქციები პერმანენტულ ხასიათს ატარებს და მომავალშიც გაგრძელდება.



# ყ უ რ ა დ ღ ე ბ ა !





## საზოგადოებრივი კოლეჯი „აისი“ დედოფლისწყაროს განყოფილება აცხადებს

**აპლიკანტთა საგაზაფხულო მიღებას 2018 - 2019 სასწავლო წლისათვის შემდეგ პროგრამებზე:**

1. თმისა და სილამაზის მომსახურეობა - /მესამე დონე /
2. თექის ოსტატი - /მესამე დონე /
3. ელექტროობა - / მესამე დონე /
4. ქვის სამუშაოების წარმოება - / მესამე დონე /

**ჩარიცხვა ხდება ტესტირების საფუძველზე კონკურსის წესით.**
**სწავლა სრულად ფინანსდება სახელმწიფოს მიერ**

სწავლის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები:

1. 2 ცალი ფოტოსურათი /ზომით 3X4/
2. პირადობის მოწმობის ასლი
3. განათლების მოწმობის ასლი დამოწმებული ნოტარიულად
4. განცხადება /ადგილზე შევსებით /

**ს ა ბ უ თ ე ბ ი ს  მ ი ღ ე ბ ა  დ ა ი წ ყ ო !**
**ი ჩ ქ ა რ ე თ !**

დაწვრილებითი ინფორმაციისათვის გთხოვთ, მობრძანდეთ კოლეჯში მისამართზე:
ქ. დედოფლისწყარო, სოფელი სამრეკლო (ყოფილი ჯაფარიძე )
ტელ: 577 557 159; 577 962 967




## მეწარმეთა საყურადღებოდ

შეგახსენებთ, რომ საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად 2018 წლის წლიური დეკლარაციის ჩაბარების ბოლო ვადაა 2019 წლის 31 მარტი. ერთი დღის დაგვიანებისთვისაც კი ჯარიმა სოლიდურია.

მცირე მეწარმეებს შეგახსენებთ, რომ ჩასაბარებელია როგორც წლიური ისე ყოველთვიური დეკლარაციები, ხოლო დღგ-ს გადამხდელებს- დღგ-ს ყოველთვიური დეკლარაციები. იჩქარეთ. დარჩენილია მცირე დრო.

შპს **„ლაშქარი+-ი** მზადაა გაგიწიოთ კვალიფიციური საგადასახადო კონსულტაციები უფასოდ. ხოლო დეკლარაციების შევსება და გაგზავნა ფასიანია.

შპს „ლაშქარი+“-ის მომსახურების ჯგუფი

☎ 593 281146

## ყ უ რ ა დ ღ ე ბ ა !

საშაურმე **„დავითმა“** განაახლა ფუნქციონირება. აქ მომხმარებელს კვლავ სთავაზობენ შაურმას და გამაგრილებელ სასმელებს. **მისამართი:** ქ. დედოფლისწყარო, რუსთაველის ქ. №53 (სამაშველო სამსახურის მოპირდაპირედ).

☎ 557-23-92-22

**ჯანდაცვის საერთაშორისო სააგენტო „ნიუ ლაიფ ჯორჯია“ სთავაზობს სუროგატ დედობას 19-დან 39 წლამდე ქალბატონებს 15 000-დან 17 000 დოლარამდე ანაზღაურებით.**

ინფორმაციისთვის დაგვირეკეთ: ☎ 599 980 886


## ამინდი დედოფლისწყარო

| ორშაბათი 18.03 | | სამშაბათი 19.03 | | ოთხშაბათი 20.03 | | ხუთშაბათი 21.03 | | პარასკევი 22.03 | | შაბათი 23.03 | | კვირა 24.03 | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე |
| 4° | 1° | 2° | 1° | 4° | 2° | 5° | 4° | 8° | 6° | 9° | 7° | 6° | 4° |


გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი
რედაქტორი **ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი**
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ჟუჟუნა ყანჩაშვილი (ჟურნალისტი); ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი); ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზია ქენქაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუნაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა).

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „კოლორ პრესის“ სტამბაში.

რედაქციის მისამართია: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18, ტელ. 0 356 22 55-49; 598 72-18-72 (დირექტორი) 591-97-73-26 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.